შპს თობაქო ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგებები (უწყისები),
მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა
2018 წლის 31 დეკემბერით დასრულებული
პერიოდისთვის

შპს თობაქო ჰოლდინგი

სარჩევი

გვერდი

მმართველობის პასუხისმგებლობათა განაცხადი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსურ უწყისთა მომზადებაზე და დამტკიცებაზე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

ფინანსური უწყისები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

მოგება-ზარალის ანგარიშგება და სხვა ერთიანი შემოსავლის უწყისი 5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (საბალანსო უწყისი) 6

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) 8

ფინანსურ ანგარიშგებებზე თანდართული შენიშვნები 9-22

1. ზოგადი ინფორმაცია 9
2. ახალი და გადახედილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება 9
3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება 11
4. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და მოსაზრებები საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით 18
5. შემოსავალი 19
6. გაყიდვების ხარჯები 19
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგი 19
8. წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა 19
9. მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 19
10. მოწოდებისა და სხვა საკრედიტო გადასახადები 19
11. ფინანსური ინსტრუმენტები 19
12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 21
13. გაუთვალისწინებელი მდგომარეობები და ვალდებულებები 21
14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 22
15. ფინანსური უწყისების დამტკიცება 22

მმართველობის ანგარიში

23

შპს თობაქო ჰოლდინგი

მმართველობის პასუხისმგებლობათა განაცხადი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსურ უწყისთა მომზადებაზე და დამტკიცებაზე

მმართველობა პასუხისმგებელია ფინანსური უწყისების მომზადებაზე, რომლებიც წარმოადგენენ შპს თობაქო ჰოლდინგის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია“)ფინანსურ უწყისებს 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი ოპერაციების შედეგებს, აღნიშნული წლის ბოლოსთვის კაპიტალში და ფულადი ნაკადების მოძრაობაში ცვლილებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ასევე მოხსენიებული, როგორც „IFRS“) მიხედვით

ფინანსური უწყისების მომზადებისას, მმართველობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის ჯეროვნად არჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის (მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის) იმგვარად წარმოდგენა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შედარებით და აღქმად ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, როდესაც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილება არასაკმარისია მომხმარებელთა მიერ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებათა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსურ ფუნქციონირებაზე გავლენის აღსაქმელად;
    - კომპანიის უწყვეტად ფუნქციონირების უნარის შეფასება.
    - მენეჯმენტის ანგარიშში იმ ინფორმაციის გაშუქება, როგორც ამას მოითხოვს საქართვრლოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ.
    - მენეჯმენტის ანგარიშის მომზადება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად

მმართველობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- დაგეგმოს, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემა მთელი კომპანიის მასშტაბით;
- აწარმოოს და შეინარჩუნოს ადექვატური საბუღალტრო ჩანაწერები, რომლებიც საკმარისია კომპანიის ოპერაციების წარმოსადგენად, ასახსნელად და ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (საბალანსო უწყისის) წარმოსაჩენად, რაც მათ უფლებამოსილს გახდის - დარწმუნდნენ, რომ კომპანიის ფინანსური უწყისები აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS);
- შეინარჩუნოს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც გონივრულად ხელმისაწვდომია მმართველობის წარმომადგენლებისთვის კომპანიის აქტივების დასაცავად; და
- თავიდან აიცილოს და აღმოაჩინოს თაღლითობა დ ასხვა დარღვევები.

2020 წლის 15 აპრილს, მმართველობამ დაამტკიცა კომპანიის ფინანსური უწყისები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

მმართველობის სახელით:

_____	_____
აბიბო მეგენეიშვილი	**ელზა ლურსმანაშვილი**
გენერალური დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო
2020 წლის 15 აპრილი	2020 წლის 15 აპრილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს თობაქო ჰოლდინგის მფლობელებსა და მმართველებს:

ჩვენი მოსაზრება
ჩვენ აუდიტორული შემოწმება ჩავუტარეთ შპს **თობაქო ჰოლდინგის** (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია“) ფინანსურ უწყისებს, რომლებიც შედგება შემდეგი ანგარიშგებებისგან: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (საბალანსო უწყისი) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; მოგება-ზარალის ანგარიშგება და სხვა ერთიანი შემოსავლის უწყისი; ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება აღნიშნული წლის ბოლოსთვის და ფინანსურ ანგარიშგებებზე თანდართული შენიშვნები მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამების ჩათვლით.

ჩვენი მოსაზრების თანახმად, ფინანსური უწყისები ყველა არსებით ასპექტში სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და კომპანიის ფინანსურ ფუნქციონირებას და მის ფულადი სახსრების მოძრაობას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, რაც წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.

მოსაზრების საფუძველი
2019 წლის 29 ოქტომბერს, ჩვენ დავინიშნეთკომპანიის აუდიტორებად და ამრიგად, ვერ დავაკვირდით წლის ბოლოსათვის ჩატარებულ ფიზიკურ ინვენტარიზაციას. წარდგენილი ალტერნატული საშუალებვებით ვერ მოვახერხეთ დაკმაყოფილება 2018 წლის 1 იანვარს ჩატარებული ინვენტარიზაციით. მას შემდეგ, რაც მარაგების დახურვა ფინანსური საქმიანობისა და ფულადი სახსრების ნაკადის განსაზღვრაში მოვახერხეთ, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, შემოსავალში, ფულადი სახსრების მოგებაში, მოგების მიმართ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, მოხსენიებული ოპერაციული საქმიანობიდან მიღებული ნაკადებით.
ჩვენი აუდიტური შემოწმება ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით (“ISA”). ამ სტანდარტების ფარგლებში ჩვენი პასუხისმგებლობა შემდგომში აღწერილია ამ დასკვნის სექციაში სახელწოდებით: „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების (უწყისების) აუდიტზე“.ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის საბჭოს კოდექსის (პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი) მიხედვით, ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან. ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის საბჭოს კოდექსის (პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი) ფარგლებში, ჩვენ ასევე შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობებიც.ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულება საკმარისია და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების საფუძვლის წარმოსადგენად.

აქცენტი საკითხზე
როგორც ფინანსურ უწყისების მე-12 მითითებაშია აღწერილი, 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, კომპანიის გაყიდვების ასი პროცენტი მოდიოდა დაკავშირებულ მხარეებზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი აზრი არ შეცვლილა.

სხვა ინფორმაცია
მმართველობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენი აზრით, ფინანსურ ანგარიშგება არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და ამით გავითვალისწინოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებით შეუსაბამობაში ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან. თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ ამ სხვა ინფორმაციის არსებითი არასწორი ცნობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ გაცნობოთ ეს ფაქტი.

მმართველობისა და ფინანსური ანგარიშგებების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები

მმართველობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე რაც განხორციელდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ის) მიხედვით და იმგვარი შიდა კონტროლის ფარგლებში, როგორსაც საჭიროების მიხედვით განსაზღვრავს მმართველობა, რათა შესაძლებელი გახდეს იმგვარი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება, სადაც ადგილი არ ექნება არასწორ განაცხადს, ცრუ განცხადებას თაღლითობის ან შეცდომის გამო.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, მმართველობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა - შემდგომში უწყვეტად განაგრძოს ფუნქციონირება და შესაბამისობის მიხედვით, გაამჟღავნოს კომპანიის უწყვეტად ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, რა დროსაც აღრიცხვის საფუძვლად გამოიყენებს უწყვეტად ფუნქციონირებას, თუ მმართველობა ან აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ფუნქციონირების შეწყვეტას, ან თუ არ აქვს ამ უკანასკნელი ზომების მიღების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მმართველობის უფლებამოსილების მქონენი პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების (უწყისების) აუდიტზე

ჩვენი მიზნებია, მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში არ შეიცავს არსებით არასწორ განაცხადს, ცრუ განცხადებას თაღლითობის ან შეცდომის მიზეზით, ასევე გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა იგი არ წარმოადგენს გარანტიას, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით (ISA) ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს მასში არსებულ არსებით არასწორ განაცხადს. ცრუ განცხადება შესაძლოა წარმოიქმნას თაღლითობიდან ან შეცდომის გამო და იგი მიჩნეულია არსებითად თუ ცალკეულად ან მთლიანობაში გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მას შეუძლია გავლენა იქონიოს მომხმარებელთა მიერ, ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) მიხედვით ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვიღებთ პროფესიულ გადაწყვეტილებებს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ჩვენ ასევე ვახორციელებთ შემდეგს:

- ფინანსური ანგარიშგების არსებითად არასწორი განაცხადის რისკების იდენტიფიცირება და შეფასება, გამოწვეული იყო ისინი თაღლითობის თუ შეცდომის გამო; აღნიშნულ რისკებზე სწრაფად რეაგირებადი აუდიტის პროცედურების დაგეგმვა და შესრულება და აუდიტური მტკიცებულების მოპოვება, რომელიც შესაფერისი და საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების საფუძვლის წარმოსადგენად. თაღლითობის მიზეზით არსებული არსებითი არასწორი განაცხადის ვერაღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომიდან გამომავალი არასწორი განაცხადის აღმოუჩენლობის რისკი, რადგანაც შესაძლოა, თაღლითობა მოიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, განზრახ დაუდევრობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის წინააღმდეგ ქმედებას.
- აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის შესახებ ცოდნის მიღება, რათა დაიგეგმოს გარემოების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრებამ გამოხატოს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობა.
- შეფასდეს გამოყენებული საარღიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და წინარე აღრიცხვების კორექტულობა, ასევე მმართველობის მიერ შესრულებული, შესაბამისად დაკავშირებული აღმოჩენები.
- დასკვნა მმართველობის მიერ ფუნქციონირების უწყვეტობის საფუძველზე აღრიცხვის წარმოების შესაბამისობაზე და მიღებული აუდიტის მტკიცებულებაზე დაყრდნობით - თუ არსებობს არსებითი გაურკვევლობები მოვლენებთან ან გარემოსთან დაკავშირებით, რომელთაც თავის მხრივ შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი წარმოშვან კომპანიის მომავალში უწყვეტად ფუნქციონირების უნართან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ მოგვეთხოვება, ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებებში შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ხოლო თუკი ამგვარი

გამჟღავნებული ინფორმაცია არაადექვატურია - შევცვლით ჩვენს მოსაზრებას. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტურ მტკიცებულებას, რომელიც მოპოვებულია ჩვენი აუდიტორული დასკვნის თარიღამდე, თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან გარემოებებმა შესაძლოა შეწყვიტოს კომპანიის უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირება.

ჩვენ ვუკავშირდებით პირებს, ვისაც ევალება ხელმძღვანელობა და სხვა საკითხებთან ერთად განვიხილავთ შემდეგს: აუდიტის დაგეგმილი ფარგლები და დრო და მნიშვნელოვანი აუდიტური აღმოჩენები, შიდა კონტროლში ნებისმიერი მნიშვნელოვანი დეფექტების ჩათვლით, რომელსაც ჩვენ დავადგენთ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის პროცესის მსვლელობისას.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

მმართველობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, და ისეთი შიდა კონტროლისთვის, რომელსაც მმართველობა დაადგენს, აუცილებელია მმართველობის ანგარიშის მომზადება, რომელიც თავისუფალი იქნება არსებითი ცდომილებისგან, იქნება ეს თაღლითობის ან შეცდომის გამო.

ჩვენ შევასრულეთ პროცედურები იმის თაობაზე, თუ რამდენად არის მომზადებული მმართველობის ანგარიში "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ინფორმაციას "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" რაც გათვალისწინებული საქართველოს კანონით.

ჩვენ შევარჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები ჩვენი განსჯის საფუძველზე, მათ შორის არ შემოვიფარგლეთ მხოლოდ გამოკვლევებით, დოკუმენტაციის ანალიზითა და მიმოხილვით, კომპანიის პოლიტიკის, პროცედურების, მეთოდოლოგიების შედარებისა და ინფორმაციული ინფორმაციი სშესახებ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობით. აგრეთვე მოვახდინეთ რიცხვითი მნიშვნელობებისა და სხვა ინფორმაციის გადაანგარიშება, შედარება და შეჯერება.

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბრის მმართველობის ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის 31 დეკემბრის მმართველობის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას რაც გათვალისწინებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.
- 2018 წლის 31 დეკემბრის მენეჯმენტის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ ანგარიშგებას.

სტიუარტ ლეიგჰტონ /Stuart Leighton/
შპს„Deloitte and Touche“-ს სახელით

2020 წლის 15 აპრილი
თბილისი, საქართველო

შპს თოგბაქო ჰოლდინგი

მოგება-ზარალის ანგარიშგება და სხვა ერთიანი შემოსავლის უწყისი
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	მითითება	2018 წლის იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი
შემოსავალი	5	74,183
გაყიდვების ხარჯი	6	(61,942)
მთლიანი მოგება		**12,241**
ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(16)
უცხოური ვალუტის კურსთაშორისი სხვაობით მიღებული წმინდა ზარალი		(22)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		**12,247**
სავალუტო ზარალი		
მოგების გადასახადის ხარჯი		(763)
		11,484
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		
მოგება წლის / პერიოდის მანძილზე		**-**
სხვა ერთიანი შემოსავალი		**11,484**

აბიბო მეგენეიშვილი
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
2020 წლის 15 აპრილი

ელზა ლურსმანაშვილი
მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
2020 წლის 15 აპრილი

9-22 გვერდებზე მოცემული მითითებები წარმოადგენს ამ ფინანსურ ანგარიშგებათა განუყოფელ ნაწილს

შპს თობაქო ჰოლდინგის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

აქტივები	მითითება	2018 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები		1
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1**
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	7	37,408
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	8	2,022
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	9	6,675
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		64
სულ მიმდინარე აქტივები		**46,169**
სულ აქტივები		**46,170**
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება		(92)
სულ საკუთარი კაპიტალი		**(92)**
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
მოგების გადასახადის ვალდებულება		68
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	10	46,194
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**46,262**
სულ ვალდებულებვები		**46,262**
სულ ვალდებულევბები და საკუთარი კაპიტალი		**46,170**

მმართველობის სახელით

აბიბო მეგენეიშვილი	**ელზა ლურსმანაშვილი**
გენერალური დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**
2020 წლის 15 აპრილი	2020 წლის 15 აპრილი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

9-22 გვერდებზე მოცემული მითითებები წარმოადგენს ამ ფინანსურ ანგარიშგებათა განუყოფელ ნაწილს

შპს თობაქო ჰოლდინგი

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	მითითება	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ბალანსი 2018 წლის 22 იანვრის მდგომარეობით		**-**	**-**
სულ ერთიანი შემოსავალი წლის განმავლობაში		11,484	**11,484**
დეკლარირებული დივიდენდი		(11,576)	**(11,576)**
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**(92)**	**(92)**

მმართველობის სახელით

აბიბო მეგენეიშვილი	**ელზა ლურსმანაშვილი**
გენერალური დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**
2020 წლის 15 აპრილი	2020 წლის 15 აპრილი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

9-22 გვერდებზე მოცემნული მითითებები წარმოადგენს ამ ფინანსურ ანგარიშგებათა განუყოფელ ნაწილს

შპს თობაქო ჰოლდინგი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 22 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	პერიოდი 2018 წლის 22 იანვრიდან 31 დეკემბრამდე
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობებიდან	
წლის / პერიოდის მოგება	11,484
კორექტირება:	
მოგების გადასახადის ხარჯი	763
ფინანსური ხარჯი	(22)
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობებიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	**12,225**
მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნებისა და ავანსების ზრდა	(2,022)
წინასწარი გადახდების ზრდა	(6,676)
მარაგევბის ზრდა	(37,408)
მოწოდებისა და სხვა კრედიტორული დავალიანების ზრდა	46,194
ფულადი სახსრების შემოდინება ოპერაციებიდან	**12,313**
გადახდილი მოგების გადასახადი	(694)
მიღებული პროცენტი	22
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები	**11,641**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის შეძენა და არამატერიალური აქტივები	(1)
წმინდა ფულადი სახსრები, რომლებიც გამოიყენება ინვესტიციის საქმიანობაში	**(1)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
გადახდილი დივიდენდები	(11,576)
წმინდა ფულადი სახსრები, რომლებიც გამოიყენება ფინანსურ საქმიანობაში	**(11,576)**
წმინდა ზრდა ფულადი სახსრებისა და თანხების ექვივალენტური საშუალებებით	64
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე	-
ფულადი სახსრები და თანხები, პერიოდის დასაწყისში	**-**
ფულადი სახსრები და ფულადი თანხები, პერიოდის ბოლოს	**64**

მმართველობის სახელით

აბიბო მეგენეიშვილი	**ელზა ლურსმანაშვილი**
გენერალური დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**
2020 წლის 15 აპრილი	2020 წლის 15 აპრილი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

9-22 გვერდებზე მოცემული მითითებები წარმოადგენს ამ ფინანსურ ანგარიშგებათა განუყოფელ ნაწილს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თობაქო ჰოლდინგი (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2018 წლის 22 იანვარს საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოს მიერ ნომრით: 406235514. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: გიორგი ნადარეიშვილის ქ. #7, თბილისი, საქართველო.

კომპანია იძენს სიგარეტს და შემდეგ აწარმოებს მის გაყიდვას. კომპანია იძენს სიგარეტს ღსს თბილისი თობაქოსგან და ყიდის პროდუქციას შპს გეოდისტრიბუციაზე. ორივე კომპანია წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას ფლობდა შემდეგი აქციონერები:

	2018 წლის 31 დეკემბერი
ირაკლი ჩუბინი (65002002091)	50%
შპს „სმარტ კაპიტალ პროდაქშენ“ (404550650)	50%
სულ	**100%**

2018 წლის 31 დეკემბრისთვის შპს „სმარტ კაპიტალ პროდაქშენის“ საბოლოო აქციონერი იყო მიხეილ ჩხარტიშვილი.

2. ახალი და გადახედილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ არ გამოიყენა შემდეგი ახალი და შესწორებული IFRS სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ეფექტური

- IFRS პუნქტი16 იჯარის შესახებ[1];
- IFRS პუნქტი 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები[2];
- IFRS დამატებები პუნქტი 9-ში, წინასწარი გადახდის მახასიათებლების ცვლილებები უარყოფითი კომპენსაციით [1];
- დამატებები IAS 28 გრძელვადიანი ინტერესები ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებში [3];
- IFRS სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2015–2017 წლების ციკლი[1];
- შესწორებები IAS,პუნქტი 19, თანამშრომელთა შეღავათები[3];
- IFRIC პუნქტი 23გაურკვევლობები საგადასახადო სისტემაში[4];
- IFRS პუნქტი10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და IAS 28 (ცვლილებები) [5].

[1]ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, ნებადართულია მისი გამოყენება ადრე პერიოდშიც

[2]ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, ნებადართულია მისი გამოყენება ადრე პერიოდშიც

[3]ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, ნებადართულია მისი გამოყენება ადრე პერიოდშიც

[4]ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, როგორც სრული ვერსიის ასევე მისი სახეშეცვლილიშეცვლილი ვარიანტის გამოყენებით, შედარებისათვის არსებული ან სამომავლო გადახედვის გარეშე.

[5] IASB გასს-ს მიერ ჯერჯერობით არ არის დადგენილი შესწორებების ძალაში შესვლის თარიღი; ამასთან, ნებადართულია შესწორებების ადრე გამოყენება.

IFRS 16 იჯარა

IFRS 16 გთავაზობთ ყოვლისმომცველ მოდელს საიჯარო ხელშეკრულებების იდენტიფიკაციისა და მათი გამოყენების შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც გამქირავებლის, ასევე მოიჯარისთვის. IFRS 16

ჩაანაცვლებს მიმდინარე საიჯარო მითითებებს, IAS 17 იჯარისა და მასთან დაკავშირებული ინტერპრეტაციების ჩათვლით, როდესაც იგი შევა ძალაში იმ საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. IFRS 16-ის, კომპანიის თავდაპირველი გამოყენების თარიღი იქნება 2019 წლის 1 იანვარი. კომპანიამ შეარჩია IFRS 16-ის შეცვლილი ადრინდელი მოდელის გამოყენება IFRS 16-ის შესაბამისად: C5. შესაბამისად, კომპანია არ აკეთებს განაცხადს შედარებითი ინფორმაციის შესახებ. კომპანია მიზანშეწონილად თვლის პრაქტიკულად გამოიყენოს სტანდარტი IFRS 16-ზე გადასვლისთანავე, რათა არ გადაფასდეს ხელშეკრულება არის თუ არა იგი საიჯარო.

აქტივის გამოყენების უფლება საწყის ეტაპზე განისაზღვრება თვითღირებულებით და შესაბამისად ფასდება თვითღირებულებით (გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით), მინუს დრიცხული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, რომლებიც კორექტირდება იჯარის ვალდებულების ნებისმიერი ხელახალი შეფასებისას. იჯარის ვალდებულება საწყის ეტაპზე ფასდება ვადაზე გადაუხდელი საიჯარი ანგარიშსწორების მიმდინარე ღირებულებით. შესაბამისად, საიჯარო ვალდებულება კორექტირდება საპროცენტო და საიჯარო გადახდებით, ასევე სხვა დანარჩენთა შორის, იჯარის მოდიფიცირებათა ზეგავლენით. მეტიც, ფულადი ნაკადების მოძრაობის კლასიფიცირება ასევე ზეგავლენილი იქნება როგორ საოპერაციო იჯარის გადახდები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS) 17-ის ფარგლებში და ისინი წარმოდგენილია, როგორ საოპერაციო ფულადი ნაკადების მოძრაობა; მაშინ, როდესაც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) 16 მოდელის ფარგლებში, საიჯარო გადახდები იყოფა ძირ თანხად და პროცენტულ ნაწილად, რომლებიც შესაბამისად წარმოგვიდგება საფინანსო და საოპერაციო ფულადი ნაკადების მოძრაობად.

მოიჯარის აღრიცხვისგან განსხვავებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) 16-ს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები ძირითადად გადმოაქვს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS) 17-ში, და აგრძელებს მეიჯარეზე მოთხოვნას, მოახდინოს იჯარის კლასიფიცირება როგორც საოპერაციო იჯარა ან როგორც საფინანსო იჯარა.

კომპანია აღიარებს ახალ აქტივებს და ვალდებულებებს საწყობისა და საოფისე ფართების საოპერაციო იჯარისთვის. ამ იჯარებთან დაკავშირებული დანახარჯების ხასიათი ახლა შეიცვლება, რადგან IFRS 16 სტანდარტის გამოყენებისას შეცვლება ოპერაციული საიჯარო ხარჯი ამორტიზაციის საფასურით, გამოყენების უფლების მქონე აქტივებისა და საიჯარო ვალდებულებების პროცენტის ხარჯზე.

წინა ჯერზე, კომპანიამ საოპერაციო იჯარის ხარჯი აღიარა სწორხაზოვნად - იჯარის ვადაზე, და აქტივები და ვალდებულებები აღიარა მხოლოდ იმ ჭრილში, რომ არსებობდა დროითი სხვაობა ფაქტობრივ საიჯარო გადახდებსა და აღიარებულ ხარჯს შორის.

კომპანიის მმართველობამ შეასრულა ახალი მოთხოვნების შეფასება და დაასკვნა, რომ ფასს 16-ის გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) 9-ში: საავანსო მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით

IFRS 9-ში შეტანილი ცვლილებები განმარტავს, რომ წინასწარი გადახდის მახასიათებლის SPPI პირობის შესრულების შეფასების მიზნით, მოცემული ვარიანტით, განმახორციელებელმა მხარემ შეიძლება გადაიხადოს ან მიიღოს წინასწარი გადახდის გონივრული კომპენსაცია წინასწარი გადახდის მიზეზის მიუხედავად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უარყოფითი კომპენსაციის მქონე წინასწარი გადახდის ფუნქციები ავტომატურად არ ჩამორჩება SPPI- ს. კომპანიის მმართველობა არ ელოდება, რომ IFRS 9-ში შეტანილი ცვლილებების გამოყენებამ შეიძლება იქონიოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ყოველწლიური გაუმჯობესებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2015-2017 ციკლში

მისი ყოველწლიური გაუმჯობესება მოიცავს ოთხ სტანდარტში შესწორებებს: IFRS 3-ე ბიზნეს კომბინაციაში შესწორებები, IFRS 11-ის ერთობლივი შეთანხმებები, IAS 12-ის საშემოსავლო გადასახადი და, IAS 23-ს სესხის აღების ხარჯები.IAS 12-ში შესწორებები განმარტავს, რომ საწარმომ უნდა აღიაროს მოგების ან ზარალის დივიდენდების, სხვა სრულყოფილი შემოსავლის ან საკუთარი კაპიტალის მოგების გადასახადის შედეგები, იმის მიხედვით, თუ საწარმომ თავდაპირველად ცნო განაწილებული მოგება.ეს ხდება იმისდა მიუხედავად, განსხვავებული საგადასახადო განაკვეთები ვრცელდება თუ არა განაწილებულ და არ განაწილებულ მოგებაზე.

IAS 12-ში შესწორებები განმარტავს, რომ საწარმომ უნდა აღიაროს მოგების ან ზარალის დივიდენდების, სხვა სრულყოფილი შემოსავლის ან საკუთარი კაპიტალის მოგების გადასახადის შედეგები, იმის მიხედვით, თუ სად

წარმოადგინა საწარმომ განაწილებადი მოგება. ეს ხდება იმისდა მიუხედავად, განსხვავებული საგადასახადო განაკვეთები ვრცელდება განაწილებულ და განაწილებულ მოგებაზე.
IAS 23-ში შესწორებები განმარტავს, რომ თუ რომელიმე კონკრეტული სესხი რჩება გადაუხდელი მას შემდეგ, რაც აქტივი მზად არის გამოყენებისთვის ან გასაყიდად, ეს სესხი ხდება იმ სახსრების ნაწილი, რომელსაც საწარმო ზოგადად სესხულობს სესხების კაპიტალიზაციის მაჩვენებლის გაანგარიშებისას.

IFRS 3-ში შესწორებები განმარტავს, რომ როდესაც სუბიექტი მიიღებს კონტროლს ბიზნესზე, რომელიც წარმოადგენს ერთობლივ ოპერაციას, საწარმო იყენებს მოთხოვნებს ბიზნესის კომბინაციისთვის, რომელიც მიღწეულია ეტაპობრივად, მათ შორის მისი წინა წილის ინტერესის (PHI) გადაანგარიშებით სამართლიანი ღირებულებით. PHI მოიცავს ერთობლივ ოპერაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ არაღიარებულ აქტივს, ვალდებულებას და კეთილსურვილს.

IFRS 11-ში შესწორებები განმარტავს, რომ როდესაც მხარე, რომელიც მონაწილეობს, მაგრამ მას არ აქვს ერთობლივი კონტროლი, ერთობლივ ოპერაციაში, რომელიც წარმოადგენს ბიზნესს, მიიღებს ერთობლივ კონტროლს ამ ერთობლივ ოპერაციაზე, და არ ხდება PHI- ს გაზომვას ერთობლივ ოპერაციაში.

ყველა შესწორება ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ და, ზოგადად, საჭიროებს სავარაუდო გამოყენებას. ნებადართულია ადრე გამოყენება. კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება, რომ ამ ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური აღრიცხვის განმარტების საერთაშორისო კომიტეტი (IFRIC) 23: გაურკვევლობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით

IFRS 23 ადგენს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს სააღრიცხვო საგადასახადო მდგომარეობა, როდესაც არსებობს გაურკვევლობა საშემოსავლო გადასახადის დაფარვის შესახებ. ინტერპრეტაცია მოითხოვს სუბიექტისაგან:

- განსაზღვროს, გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები ფასდება ცალკეულად თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, შესაძლებლია თუ არა, რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს საწარმოს მიერ გაურკვევლად აღრიცხული მოგების გადასახადი ან გაურკვევლად აღსარიცხი მოგების გადასახადი;
  - თუ კი, კომპანიამ შესაბამისად უნდა განსაზღვროს თავისი გადასახადის აღრიცხვის პოზიცია, რომელიც გამოიყენა ან რომლის გამოყენებასაც გეგმავს თავისი მოგების გადასახადის წარსადგენად.
  - უარის შემთხვევაში, კომპანიამ უნდა ასახოს გაურკვევლობის გავლენა, როდესაც განსაზღვრავს თავისი გადასახადის აღრიცხვის პოზიციას, როდესაც გამოიყენებს ან ყველაზე მეტად შესაფერის თანხას ან მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს.

კომპანიის მმართველობა არ ფიქრობს, რომ ცვლილებების გამოყენებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

მომზადების საფუძველი. აღნიშნული ფინანსური უწყისები მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS)-ის მიხედვით, ასევე საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“-ის მიხედვით. ქვემოთ მოყვანილია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლებიც გამოყენებული იქნა ამ ფინანსური უწყისების მომზადებისას. თუ სხვაგვარად არაა განსაზღვრული, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად მიესადაგა ყველა წარმოდგენილ პერიოდს.

ფინანსური უწყისები მომზადდა თავდაპირველი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის საფუძველზე. თავდაპირველი (ისტორიული) ღირებულება ზოგადად ეფუძნება სამართლიან ღირებულების თანხას, რომელიც გადახდილია აქტივების სანაცვლოდ.

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემით შეფასების დღისთვის შესრულებულ ჩვეულებრივ ოპერაციებში ბაზრის მონაწილეთა შორის მიუხედავად იმისა, აღნიშნული ფასი პირდაპირ დგინდება თუ განისაზღვრება შეფასების სხვა ტექნიკითა თუ მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუკი ბაზრის მონაწილეებს სურთ, ამგვარი მახასიათებლების გათვალისწინება აქტივის ან ვალდებულების შეფასების დღისთვის ფასდებისას. ამ ფინანსურ უწყისებში სამართლიანი ღირებულება განსაზღვრის და / ან გამჟღავნების მიზნებით დადგენილია იმგვარად, რომ გამოირიცხება წილზე დაფუძნებული

ანგარიშსწორების ოპერაცია, რომელიც მოცემულია გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) 2-ში, საიჯარო ოპერაციები, რომლებიც მოცემულია გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS) 17-ში და შეფასებები, რომლებიც მსგავსია სამართლიან ღირებულებისა, თუმცა არ წარმოადგენენ სამართლიან ღირებულებას, როგორიც არის წმინდა რეალიზებადი ღირებულება გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS) 2-ში ან გამოყენებადი ღირებულება გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS) 36-ში.

დამატებით უნდა ითქვას, რომ ფინანსური ანგარიშგების მიზნებით, სამართიანი ღირებულების შეფასება კატეგორიზდება 1-ლ, მე-2 და მე-3 დონეებად, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ხარისხს, რომლის მიმართაც სამართიანი ღირებულების შეფასების ხარჯები თვალსაჩინოა და სამართლიანი ღირებულების შეფასების ხარჯების მთლიანი მნიშვნლეობა, რომელიც შემდეგნაირად აღიწერება:

- 1-ლი დონის ხარჯებს წარმოადგენს კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებზე ან ვალდებულებებზე, რომლებზეც საწარმოს აქვს წვდომა შეფასების თარიღით;
- მე-2 დონის ხარჯები არის ხარჯები 1-ლ დონეში შესულ კოტირებულ ფასების გარდა, რომლებიც აშკარაა აქტივის ან ვალდებულების მიმართ პირდაპირ ან ირიბად; და
- მე-3 დონის ხარჯებს წარმოადგენს აქტივის ან ვალდებულების მიმართ არსებული შეუმჩნეველი ხარჯები.

ფუნქციონირების უწყვეტობა. - აღნიშნული ფინანსური უწყისები მომზადდა მმართველობის მიერ იმ დაშვებით, რომ კომპანია ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად, რომელიც ვარაუდობს, რომ კომპანიას საპროგნოზო მომავალში, ბიზნეს-საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში შეეძლება რეალიზება გაუკეთოს თავის აქტოვებს და გათავისუფლდეს თავისი ვალდებულებებისგან.

ფუნქციონალური (სამუშაო) ვალუტა. თითოეული კომპანიის საწარმოს ფინანსურ უწყისებში შესული პუნქტები იყენებს აღნიშნული საწარმოს ფუნქციონირების ეკონომიკური გარემოს მიხედვით არსებულ ძირითად ვალუტას (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ფუნქციონალური ვალუტა“). ფუნქციონალური (სამუშაო) ვალუტა მმართველი კომპანიისა წარმოადგენს ქართულ ლარს (GEL). კომპანიის ფინანსური უწყისების წარმომადგენლობითი ვალუტა არის ასევე ლარი. ყველა თანხა მრგვალდება ათას ლარში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარადაა მითითებული.

დაბალანსება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ბალანსდება და საბალანსო უწყისში აღირიცხება წმინდა ღირებულება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად აღსრულებადი უფლება - დაბალანსდეს აღიარებული თანხები და არსებობს განზრახვა - დარეგულირდეს ურთიერთჩათვლით, ან რეალიზდეს აქტივები და ჩაითვალოს ვალდებულებები ერთი და იგივე დროს. შემოსავალი და ხარჯები არ დაბალანსდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში თუ არ მოითხოვება ან დაშვებული არ იქნება აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან განმარტებით და როგორც სპეციფიურად წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

შემოსავალი. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი აღიარდება როდესაც კმაყოფილდება ქვემოთ მოცემული პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და ჯილდოები;
- კომპანია არ იტოვებს არც მმართველობითი დონის ჩარევას, რომელიც ჩვეულებისამებრ დაკავშირებულია ფლობასთან და არც გაყიდული საქონლის ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობა შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს;
- შესაძლოა, რომ ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი მიმართული იქნება დაწესებულებისკენ; და
- ოპერაციასთან დაკავშირებით მიყენებული ხარჯები ან მომავალში წარმოშობილი ხარჯები შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს.

კომპანია აღიარებს შესრულების ვალდებულებას - დროის გარკვეულ მონაკვეთში სიგარეტის ფილტრების გაყიდვაზე, რადგან არსებობს მხოლოდ შესრულების ერთი ვალდებულება. მოგება მცირდება მომხმარებლის მიერ დაბრუნებულ საქონლის გამო, ფასდაკლებათა და სხვა მსგავსი შეღავათების გამო.

ლიზინგი. იჯარები კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარებად, როდესაც იჯარის პირობა გადასცემს იჯარის საგნის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ჯილდოს. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია, როგორც მეიჯარე
საოპერაციო იჯარებიდან ქირავნობის შემოსავალი აღიარდება სწორხაზოვნად, შესაბამისი იჯარის ვადისთვის. საწყისი პირდაპირი ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა საოპერაციო იჯარის მოლაპარაკებებში და ორგანიზებაში ემატება იჯარით აღებული აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება სწორხაზოვნად - შესაბამისი იჯარის პერიოდის წილ.

კომპანია, როგორც მოიჯარე
საოპერაციო იჯარის გადახდები აღიარდება ხარჯად, სწორხაზოვნად შესაბამისი იჯარის ვადისთვის, გარდა შემთხვევებისა, როდესაც სხვა სისტემური ხასიათის საფუძველი უფრო არ წარმოაჩვენს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც იჯარით აღებული აქტივებიდან მოხდა ეკონომიკური სარგებლის მოხმარება. საოპერაციო იჯარებიდან წარმოშობილი პირობითი ქირის გადასახადები აღიარდება ხარჯად პერიოდისთვის, როდესაც ისინი წარმოიშვა.

იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო შეღავათები მიღებულია საოპერაციო იჯარაში შესატანად, ამგვარი შეღავათები აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების ერთიანი სარგებელი აღიარდება სწორხაზოვნად ქირის ხარჯის შემცირებად, გარდა შემთხვევებისა, როდესაც სხვა სისტემური ხასიათის საფუძველი უფრო არ წარმოაჩვენს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც იჯარით აღებული აქტივებიდან მოხდა ეკონომიკური სარგებლის მოხმარება.

უცხოური ვალუტები. ოპერაციები ვალუტებში გარდა საწარმოს ფუნქციონალური (სამუშაო) ვალუტისა (უცხოური ვალუტები) აღირიცხება შესაბამისი ოპერაციების თარიღებისთვის გავრცელებული ვალუტათაშორისი გაცვლის განაკვეთებით. თითოეული საანგარიშო თარიღისთვის, მონეტარული საგნები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, ხელახლა კონვერტირდება განაკვეთებში, რომლებიც გაბატონებული იქნება შეტყობინების თარიღისთვის. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშვება ვალუტების კურსთაშორისი სხვაობით, მოცემულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა ერთიანი შემოსავლის უწყისში.

ქვემოთ მოცემულია ვალუტების გაცვლითი კურსები წლის ბოლოსთვის, რომელიც გამოიყენა კომპანიან აღნიშნული ფინანსური უწყისების მიზნებით:

	31/12/2018
GEL (ლარი) / USD (აშშ დოლარი)	2.6766
GEL (ლარი) / EUR (ევრო)	3.0701

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოდგენილია საანგარიშო თარიღისთვის ან მანამდე მიღებული საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. 2016 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება მიმდინარე კორპორაციული დაბეგვრის მოდელში, რომელიც ცვლილებებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლ იანვრიდან ყველა საწარმოსთვის გარდა გარკვეული ფინანსური დაწესებულებებისა. შეცვლილი მოდელი მოიაზრებს ნულგანაკვეთოვან კორპორაციულ გადასახადს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორაციულ გადასახადს განაწილებულ მოგებაზე, წინა მოდელში კი კომპანიის დაბეგვრამდე მიღებული მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად მისი განაწილების / გაუნაწილებლობის სტატუსისა.

მოგებისა გადასახადის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1-ლი იანვრიდან. აღნიშნული წესები ეხება კომპანიას და დასაბეგრი ბაზა შედგება ორივე - ფაქტობრივი და ნაგულისხმევი მოგების განაწილებით, რომელიც მოიცავს შემდეგსაც:

- განაწილებული მოგება;
- მიღებული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის / მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და / ან თანხების გადარიცხვა; და

- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსში განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე აღიარდება როგორც ხარჯი დივიდენდების გაცხადების მომენტში და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ჩაიწერება, „მოგების გადასახადის“ პუნქტში. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები და მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის ფასდება თანხით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოდან ან რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოზე.

განაწილებული მოგების გარდა სხვა სფეროში დაკისრებული გადასახადი, როგორც ზემოთ აღწერილია, ჩაიწერება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, „საგადასახადო ხარჯის“ პუნქტში.

დაბეგვრის კონცეფციის ცვლილების გამო, აქტივებისა და ვალდებულებების „დასაბეგრი ბაზა“, როგორც ტერმინი, კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები (როგორც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები 12-ის: მოგების გადასახადი - ფარგლებში), ახალი კორპორაციული დაბეგვრის მოდელით აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებით, მინუს დარიცხული ცვეთა და საჭიროების მიხედვით - გაუფასურების რეზერვი.
მცირედი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება ხარჯად წარმოშობისთანავე. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ჩანაცვლების ხარჯები კაპიტალიზდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

საანგარიშო პერიოდის ყოველი ბოლოსთვის, მმართველობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურებაზე რაიმე სახის მითითება. თუ ნებისმიერი ამგვარი მითითება არსებობს, მმართველობა აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის სამართლიან ღირებულებაზე მაღალი თანხით, მინუს გაყიდვის ხარჯები და გამოყენებული ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი უქმდება, თუკი შესაბამისობის მიხედვით, შეიცვალა აქტივის ღირებულების დადგენის შეფასების გამოყენებული მეთოდი ან სამართლიანი ღირებულებას მინუს გაყიდვის ხარჯები.

განკარგვისას მიღებული მოგება და ზარალი დგინდება საბალანსო ღირებულების შემოსავლებთან შედარებით და სხვა შემოსავალსა ან ხარჯს შორის აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება სწორხაზოვანი მეთოდით - მათი თვითღირებულების განაწილებით სალიკვიდაციო ღირებულებაზე სავარაუდოდ დარჩენილი საექსპლუატაციო ვადის ფარგლებში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავარაუდოდ დარჩენილი საექსპლუატაციო ვადა, სალიკვიდაციო ღირებულებები და ცვეთის მეთოდები ნებისმიერი საპროგნოზო შეფასებაში ცვლილების ჭრილში. ცვეთის განაკვეთები შემდეგია:

	ცვეთის განაკვეთი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%

აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება წარმოადგენს შეფასებულ თანხას, რომლის მიღებაც მიმდინარე ეტაპზე კომპანიას სურს ამ აქტივის განკარგვიდან მინუს განკარგვის ხარჯები, თუ აქტივი იყო ვადით ან მდგომარეობის მიხედვით თავისი საექსპლუატაციო ვადის ბოლოსკენ. თითეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებები და საექსპლუატაციო ვადები გადაიხედება და შესაბამისად დაკორექტირდება.

ძირითადი საშუალების საგანი ბალანსიდან იხსნება მისი რეალიზაციისას ან როდესაც ამ აქტივის განგრძობითად გამოყენებით, მომავალში არანაირი ეკონომიკური სარგებელი აღარაა მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების ნებისმიერი საგნის გაყიდვისას ან ჩამოწერისას მიღებული ნებისმიერი შემოსავალი

ან ზარალი დგინდება, როგორც სხვაობა გაყიდვის ოპერაციასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებად ან ზარალად.

ცალკეულად მიღებული არამატერიალური აქტივები. განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, რომლებიც მიღებულია ცალკეულად - გადაიტანება თვითღირებულებით მინუს დარიცხული ცვეთა და დარიცხული გაუფასურების ზარალი. ცვეთა აღიარდება სწორხაზოვნად - მათ შესაბამის საექსპლუატაციო ვადის ფარგლებში. თითეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავადაუდოდ დარჩენილი საექპლუატაციო ვადა და ცვეთის მეთოდი ნებისმიერი საპროგნოზო შეფასებაში ცვლილების ჭრილში. არამატერიალური აქტივების ცვეთის განაკვეთი 15%-ია, რომელიც ასევე მიესადაგება სწორხაზოვნად.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა და ბალანსიდან ჩამოწერა ხორციელდება მათი გაყიდვის ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც მათი გამოყენებით ან რეალიზაციით არანაირი მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარაა მოსალოდნელი. ნებისმიერი არამატერიალური აქტივის ბალანსიდან ჩამოწერისას მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება როგორც სხვაობა გაყიდვის პროცედურასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც შესაბამისი აქტივი ჩამოიწერება ბალანსიდან.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანია გადახედავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა დარწმუნდეს არსებობს თუ არა რაიმე სახის მინიშნება ამგვარი აქტივების გაუფასურების ზარალთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მითითება რაიმე სახით არსებობს, აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება, რათა დადგინდეს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოცულობა. როდესაც შეუძლებელია ცალკეული აქტივის ასანაზღაურებელი თანხა, მაშინ კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების გამომმუშავებელი აქტივის ანაზღაურებად თანხას, რომელსაც აღნიშნული აქტივი ეკუთვნის. როდესაც დგინდება მიკუთვნების გონივრული და თავსებადი საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე მიეკუთვნება ცალკეულ ფულადი სახსრების გამომმუშავებელ აქტივებს, ან ისინი სხვაგვარად მიეკუთვნება ფულადი სახსრების გამომმუშავებელ აქტივთა უმცირეს ჯგუფს, რომელთა მიმართაც შესაძლოა იდენტიფიცირდეს მათი გონივრული და თავსებადი კუთვნილება.

ანაზღაურებადი თანხა მეტია აქტივის სამართლიან ღირებულებაზე, მინუს გაყიდვისა და გამოყენებადი ფასეულობის ხარჯი. გამოყენებადი ფასეულობის შეფასებისას, სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათი მიმდინარე ღირებულებით გადასახადისწინა დისკონტის განაკვეთით, რომელიც აისახება მიმდინარე საბაზრო შეფასებებზე ფულის დროებითი ღირებულებით და რისკებით, რომლებიც სპეციფიურია აქტივისთვის, რომელთა მიმართაც ჯერ არ მომხდარა მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ჭრილში კორექტირება.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების გამომმუშავებელი აქტივის) ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება, რომ ნაკლებია ვიდრე მისი საბალანსო ღირებულება, მაშინ ასეთი აქტივის (ან ფულადი სახსრების გამომმუშავებელი აქტივის) სანალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად თანხამდე. აქტივის გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც შესაბამისად უქმდება გაუფასურების ზარალი, აქტივის (ან ფულადი სახსრების გამომმუშავებელი აქტივის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადახედილი შეფასებით, თუმცა იმგვარად, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგინდებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების გამომმუშავებელი აქტივის) მიმართ წინა წლებში არანაირი სახის გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო. გაუფასურების ზარალის გაუქმება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია დაბალი თვითღირებულებითა და წმინდა რეალიზებადი ღირებულებით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება დგინდება, როგორც მოსალოდნელი გასაყიდი ფასი, მინუს ყველა სავარაუდო დასრულების ხარჯები და გაყიდვის განსახორციელებლად საჭირო

ხარჯები. საქონლის მომწოდებლები კომპანიას აწვდიან ბონუსებს. მომწოდებელთა მიერ მიღებული ბონუსები დაგეგმილი გაყიდვების შესრულებისთვის უკავშირდება ხარისხობრივ ზომებს და პირდაპირ იქვითება გაყიდვების ხარჯებიდან.

რეზერვები. რეზერვები აღიარდება, როდესაც კომპანია მიმდინარე ეტაპზე ფლობს იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გამოწვეულია წარსულში განხორციელებული მოქმედებიდან; სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვება ვალდებულების დაფარვა და შესაძლოა ეს ვალდებულება საიმედოდ შეფასდეს.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხის საუკეთესო შეფასებას, რომელიც ითვალისწინებს ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებსა და გაურკვევლობებს. როდესაც რეზერვი აღიარდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო ფულადი ნაკადების გამოყენებით, მისი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას (როდესაც ფულის დროებითი ღირებულების გავლენა არსებითია).

როდესაც რეზერვის დასაფარად მოთხოვნილი ზოგი ან ყველა ეკონომიკური სარგებლის ამოღება მოსალოდნელია მესამე მხრიდან, მისაღები თანხა აღიარდება აქტივად თუკი არსებითად უეჭველია, რომ კომპენსაცია მიიღება და მისაღები თანხა საიმედოდ შეფასდება.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები. პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება საბალანსო უწყისში, თუმცა გასაჯაროვდება ფინანსურ ანგარიშგებებზე თანდართულ შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის განმასახიერებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა დისტანციურია. პირობითი აქტივები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (საბალანსო უწყისი) თუმცა წარმოდგენილი იქნება ფინანსურ უწყისებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღიარდება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (საბალანსო უწყისი), როდესაც კომპანია გახდება ინსტრუმენტის (საბუთის) სახელშეკრულებო დებულებათა მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები საწყის ეტაპზე შეფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით. ოპერაციის ხარჯები პირდაპირ ახასიათებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მიღებას ან გაცემას (გარდა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა თავიანთ სამართლიან ღირებულებაში მოგებაში ან ზარალში), შესაბამისობის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას ემატება ან აკლდება (იქვითება) ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. საოპერაციო ხარჯები პირდაპირ ახასიათებს ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების მიღებას მათ სამართლიან ღირებულებაში მოგებაში ან ზარალში და ისინი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებად ან ზარალად.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი მთიანობაში შესაბამისად აღიარდება ან მათ ამორტიზებულ ღირებულებით ან თავიანთი სამართლიანი ღირებულებით, რაც დამოკიდებულია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება თავიანთი თავდაპირველი (საწყისი) აღიარებისას, როგორც შესაბამისად ფასდება ამორტიზებულ ღირებულებით. ფინანსური აქტივების კლასიფიცირება თავიანთი საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ჭრილში კომპანიის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს აფასებს ამორტიზებული ღირებულებით თუ ქვემოთ მოცემული ორი პირობა კმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივი ფლობილია ისეთი ბიზნეს-მოდელი მიერ, რომლის მიზანია, ფინანსურ აქტივთა ფლობა, რათა შეაგროვოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში იწვევს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მარტოდენ ძირი თანხისა და პროცენტის ანგარიშსწორებას (SPPI) გადაუხდელ ძირ თანხაზე.

აღნიშნული შეფასება უკავშირდება ძირი თანხისა და პროცენტის ანგარიშსწორების (SPPI) შემოწმებას და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს, ფასდება შესაბამისად თავიანთი სამართლიანი ღირებულებით სხვა ეროვნულ შემოსავალში (FVTOCI):

- ფინანსური აქტივი ფლობილია ბიზნეს-მოდელის მიერ, რომლის მიზანიც მიღწეულია ორივე პირობით: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობა კონკრეტულ ვადებში იწვევს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მარტოდენ ძირი თანხისა და პროცენტის ანგარიშსწორებას გადაუხდელ ძირ თანხაზე.

ჩვეულებრივ, ყველა სხვა ფინანსური აქტივი ფასდება შესაბამისად თავიანთი სამართლიანი ღირებულების ცვლილების ასახვით მოგებასა და ზარალში (FVTPL).

მიმდინარის მიუხედავად, კომპანია უფლებამოსილია ფინანსური აქტივების საწყისი (თავდაპირველი) აღიარებისას, განახორციელოს შემდეგი შეუქცევადი არჩევა / მითითება:

- კომპანია უფლებამოსილია, დაუბრუნებლად აირჩიოს და წარმოადგინოს მომდევნო ხარჯები კაპიტალდაბაბდების სამართლიან ღირებულებაში - სხვა ერთიან შემოსავალში თუ დაკმაყოფილდა კონკრეტული კრიტერიუმები; და
- კომპანია უფლებამოსილია, შეუქცევადად მიუთითოს სავალო ინვესტიცია, რომელიც აკმაყოფილებს ამორტიზებულ ღირებულებას ან სამართლიანი ღირებულებით სხვა ერობლივ შემოსავალში (FVTOCI) კრიტერიუმს, როგორც ფასდება სამართლიანი ღირებულების ცვლილების ასახვით მოგებასა და ზარალში (FVTPL) კრიტერიუმით, თუკი ამგვარი ქმედება ამცირებს ან მნიშვნელოვნად ამცირებს აღრიცხვის შეუსაბამობას.

წარსულის გამოცდილებაზე დაფუძნებით, ყველა ფინანსური აქტივი ფლობილია, რათა მოგროვდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და კლასიფიცირდება პირველ ბიზნეს-მოდელში - ფლობა შეგროვების მიზნით (Held to collect - H2C).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოსათვლელ მეთოდს და შესა ბამისი პერიოდის საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდს.

ფინანსური აქტივებისთვის გარდა შეძენილი ან შექმნილი კრედით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა (როგორიცაა აქტივები, რომლებიც საწყისი აღიარებისას კრედიტგაუფასურებულია), ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს რომელიც ზუსტად ახორციელებს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებას (მათ შორის ყველა გადასახადისა და გადახდილი ან მიღებული თანხებისა, რომლებიც ქმნიან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯებს და სხვა პრემიემსა და დისკონტებს) გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რასაც ადგილი ექნება სავალო ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ფარგლებში ან სადაც შესაბამისია, უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე - სავალო ინსტრუმენტის საწყისი აღიარების მთლიანი საბალანსო ღირებულების მიმართ. შეძენილი ან შექმნილი კრედიტგაუფასურებული ფინანსური აქტივებისათვის, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, მათ შრის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ჩათვლით - სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების ამორტიზებული ღირებულების მიმართ.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი თავისი საწყისი აღიარებით, მინუს ძირი თანხის დაფარვები, პლუს კუმულაციური ამორტიზაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მათი საწყისი ღირებულებისა და ვადადამგდარი ღირებულების ნებისმიერ სხვაობის მიმართ, რომელიც კორექტირდება ნებისმიერი დასაშვები ზარალის დაქვითვით.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება სავალო ინსტრუმენტების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა ეროვლივ შემოსავალში (FVTOCI). ფინანსური აქტივებისთვის გარდა შეძენილი ან შექმნილი კრედიტგაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა შეძენილი ან შექმნილი კრედიტგაუფასურებული ფინანსური აქტივებისა (იხილეთ ქვემოთ). ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შემდგომში გახდნენ კრედიგაუფასურებულნი, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ შემდგომ საანგარიშო პერიოდებში კრედიტგაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი იმდენად გაიზრდება, რომ ფინანსური აქტივი უკვე აღარ იქნება კრედიტგაუფასურებული, მაშინ ამგვარი აქტივის საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შეძენილი ან შექმნილი კრედიტგაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე კრედიტზე მორგებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გამოთვლა არ უბრუნდება მთლიანი ღირებულებაზე დაფუძნებულ გამოთვლას მაშინაც კი, თუკი შემდგომში ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი იმდენად გაიზრდება, რომ ასეთი აქტივი უკვე აღარ იქნება მიჩნეული კრედიტგაუფასურებულად.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივს ფიქსირებული ან განსაზღვრადი ანგარიშგებით, რომლებიც აქტიურ ბაზარზე შეფასებული არ არის. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ფასდება ამორტიზებულ ღირებულებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, მინუს რაიმე სახის გაუფასურება. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, როდესაც დისკონტის ზეგავლენა არაარსებითია.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში ფლობილ მოთხოვნამდე დეპოზიტებს, მიმდინარე ეტაპზე გადასახდელებს ან სამ თვეზე ნაკლებ ვადაში გადასახდელებს. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ბალანსში გადაიტანება ამორტიზებული ღირებულებით, რა დროსაც გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი. შეზღუდული ნაშთები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების (ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) მიზნებით გამორიცხულია ფულადი სახსრებიდან და მათი ექვივალენტებიდან. შეზღუდული ფულადი სახსრები მოიცავს ნაშთებს, რომლებიც შეზღუდულია გადასაცვლელად ან ვალდებულების დასაფარად ყველაზე ცოტა საანგარიშო პერიოდიდან თორმეტი თვის შემდეგ.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია სავალო ინსტრუმენტებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) დაქვითვებს აღიარებს თავიანთ ამორტიზებულ ღირებულებაში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) აღიარდება ორ ეტაპად. კრედიტებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარებიდან, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოდგენილია საკრედიტო ზარალებისთვის, რომლებიც მომდევნო 12 თვის განმავლობაში გამომდინარე იქნება ვალდებულების შეუსრულებლობებიდან (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კრედიტებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკიც მნიშვნელოვნად გაიზარდა საწყისი აღიარებიდან, მოთხოვნილია საკრედიტო ზარალის დაქვითვა, რომლებიც მოსალოდნელია საკრედიტო გავლენის ნარჩენი საექსპლუატაციო პერიდის მანძილზე მიუხედავად ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტობრივი დროისა (სიცოცხლის ხანგრძლივობის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კომპანია უზრუნველყოფს 12-თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფულადი სახსრებისა და საბანკო ბალანსებისთვის.

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გამოსათვლელად, კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, კომპანია არ ადევნებს თვალყურს საკრედიტო რისკის ცვლილებას, პირიქით - თითოეული საანგარიშო თარიღისთვის იგი აღიარებს ზარალის დაქვითვას სიცოცხლის ხანგრძლივობის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაფუძნებით. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოცულობას მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნებისთვის ითვლის ზარალის განაკვეთების მიხედვით, რომლებიც დადგენილია ექსპერტული მსჯელობის გამოყენებით. ექსპერტული მსჯელობის გამოყენება დაშვებული იქნა გონივრულად, ისტორიული ინფორმაციის არარსებობის გამო, რომელიც საშუალებას იძლეოდა, აგებულიყო რეზერვთა მატრიცა. გაუფასურების განაკვეთები მრავლდება მიწოდებიდან და

მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნების შესაბამის ნაშთებზე პერიდისთვის, რომლის მიმართაც გამოითვლება შესაბამისი თანხა, ეს უკანასკნელი კი მიჩნეულია აუნაზღაურებლად.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დარღვეულად, როდესაც სახელშეკრულებო ანგარიშსწორება 90 დღით დარღვეულია. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევებში, კომპანია უფლებამოსილია ასევე განიხილოს ფინანსური აქტივის ვალდებულების შეუსრულებლობა, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ კომპანიას არ სურს სრულად მიიღოს გადაუხდელი სახელშეკრულებო თანხები სანამ მხედველობაში მიიღებდეს კომპანიის მიერ ფლობილ ნებისმიერი სახის საკრედიტო გაძლიერების ინსტრუმენტს.

შეუკრებავი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის წილ, როდესაც ასეთი აქტივის ანაზღაურებისთვის ყველა საჭირო პროცედურა დასრულდება და ზარალის ოდენობა დადგინდება. წინარე ჯერზე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ანაზღაურებები დაკრედიტდება გაუფასურებული ზარალის ანგარიშის წილ წლის მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა და ბალანსიდან მოხსნა. კომპანია ფინანსური აქტივის ბალანსიდან მოხსნას ახორციელებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ აქტივიდან ფულადი ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები სრულდება, ან როდესაც იგი სხვა უწყებას გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ჯილდოს. თუკი კომპანია არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებით არსებითად ყველა რისკსა და ჯილდოს და განაგრძობს გადაცემული აქტივის კონტროლს, მაშინ კომპანია აღიარებს ამ აქტივში შენარჩუნებულ ინტერესს (პროცენტს) და დაკავშირებულ ვალდებულებას თანხებისთვის, რომელთა გადახდაც შესაძლოა მოუწიოს. თუკი კომპანია შეინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ჯილდოს, მაშინ კომპანია განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული შემოსავლების წილ გირაოთი უზრუნველყოფილ სესხს.

ამორტიზებულ ღირებულებაში შეფასებული ფინანსური აქტივის ბალანსიდან მოხსნისას, სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ და მისაღებ კომპენსაციის თანხებს შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. დამატებით უნდა ითქვას, რომ სავალო ინსტრუმენტში სამართლიანი ღირებულება სხვა ერთობლივ შემოსავალში (FVTOCI) ფარგლებში კლასიფიცირებული ინვესტიციის აღიარების შეწყვეტისას და ბალანსიდან მოხსნისას, ინვესტიციის ხელახალი შეფასების რეზერვში წინარე ჯერზე დარიცხული კუმულაციური შემოსავალი ან ხარჯი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

<u>ვალად ან კაპიტალად კლასიფიცირება</u>

ვალი და წილობრივი ინსტრუმენტები გაიცემა კომპანიის მიერ და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან კაპიტალი, რაც ხორციელდება სახელშეკრულებო შეთანხმებათა არსიდან გამომდინარე და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტების განმარტებების მიხედვით.

<u>წილობრივი ინსტრუმენტები</u>

წილობრივი ინსტრუმენტები წამოადგენს ნებისმიერ საბუთს, რომელიც ამტკიცებს საწარმოს აქტივებში მონაწილეობის ინტერესს მას შემდეგ რაც დაიქვითება ყველა მისი ვალდებულებები. წილობრივი ინსტრუმენტები გაიცემა კომპანიის მიერ და აღიარდება მიღებული შემოსავლებით, წმინდა გაცემის თვითღირებულებით

კომპანიის მიერ ფლობილი საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ხელახლაქ შეძენა აღიარდება და პირდაპირ იქვითება კაპიტალში. არანაირი შემოსავალი ან ხარჯი არ აღიარდება მოგებად ან ზარალად კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შეძენაზე, გაყიდვაზე, გაცემაზე ან გაუქმებაზე.

<u>ფინანსური ვალდებულებები</u>

ფინანსური ვალდებულებები (რომლებიც წარმოდგენილია სესხებით, მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებებითა და გადასახდელი დივიდენდებით) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსურ ვალდებულებათა ბალანსიდან მოხსნა

კომპანია ბალანსიდან ხსნის ფინანსურ ვალდებულებებს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შესრულდა, გაუქმდა ან მათი ვადა გავიდა. ბალანსიდან მოხსნილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილი და გადასახდელი კომპენსაციის სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება, როგორც კაპიტალის შემცირება პერიოდში, როდესაც ისინი გაცხადდა გადასახდელად. საანგარიშო თარიღის შემდგომ გაცხადებული დივიდენდები აღირიცხება, როგორც შემდგომი მოვლენა და ვლინდება შესაბამისად.

წინასწარ გადახდილი გადასახადები და გადასახდელი გადასახადები. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარმოდგენილია თავიანთ ნომინალურ ღირებულებებში, მინუს დაქვითვა სავარაუდო აუნაზღაურებელი თანხებისთვის. გადასახდელი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა) წარმოდგენილია თავიანთი ნომინალური ღირებულებით.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აკუმულირდება საქართველოს შემოსავლების სამსახურის ცალკეულ საგადასახადო ანგარიშზე. დარეგულირება ხორციელდება ურთიერთჩათვლით.

მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი თანხები. მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი თანხები წარმოდგენილია თავიანთი თვითღირებულებით, მინუს აუნაზღაურებელი თანხების დაქვითვა.

4. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (რომელიც აღწერილია მე-3 მითითებაში), მმართველობას მოეთხოვება მსჯელობა, ვარაუდი და დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც სხვა წყაროებიდან აშკარად გამოხატული არაა. ვარაუდები და დაკავშირებული დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიჩნეულია შესაბამისად. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ ვარაუდებისგან.

ვარაუდები და ძირითადი დაშვებები გადაიხედება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებათა გადახედვები აღიარდება პერიოდში, რომელშიც შეფასება გადაიხედა თუკი გადახედვა ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ან გადახედვის პერიოდში და შემდგომ პერიოდებში, თუკი გადახედვა ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებსაც.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, მიუხედავად იმ გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მონაწილეობს შეფასებებში (იხილეთ ქვემოთ) არის შემდეგი, რომ კომპანიის მმართველობამ განახორციელა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესი და მან იქონია უმნიშვნელოვანესი გავლენა ფინანსურ უწყისებში აღიარებული თანხების მიმართ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რათა ანგარიშსწორება აწარმოოს ზარალებზე, რომლებიც მიღებულია დამკვეთთა ვალდებულებით - გადაიხადონ მოთხოვნილი თანხა ან მომწოდებლებიდან - განახორციელონ შეთანხმებული პროდუქტების ან მომსახურების მიწოდება. როდესაც ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადექვატურობა, მმართველობა თავის შეფასებას აფუძნებს მიმდინარე მთლიან ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მოთხოვნებისა და წინასწარი გადახდების ნაშთების სიძველეზე (ვადამოსულობაზე), ისტორიული ჩამოწერის გამოცდილებაზე, დამკვეთისა და მომწოდებლის კრედიტსაიმედოობასა და ანგარიშსწორების პირობების ცვლიელებებზე.ეკონომიკაში, წარმოების დარგში ან კონკრეტული დამკვეთის ან მომწოდებლის პირობებში ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კორექტირებები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში, რომელიც ჩაწერილია ფინანსურ უწყისებში.

5. შემოსავალი

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის და 22 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის მთლიანი შემოსავლის ასი პროცენტი შეადგენდა გაფილტრული და არა გაფილტრული სიგარეტის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს რაც უკავშირდებოდა შპს „გეოდისტრიბუცია“-ს ,რომელიც წარმოადგენს კომპანიის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოს.

6. გაყიდვების ხარჯები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ გაყიდული საქონლის ხარჯი მოიცავს სიგარეტების შესყიდვას ღსს თბილისი თობაქოსგან.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთები წარმოდგენილია სიგარეტით, რომელიც შეძენილია დაკავშირებული მხარისგან ღსს თბილისი თობაქო.

8. გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა

2018 წლის 31 დეკემბრისთვის, საშემოსავლო გადასახადის გარდა, გადასახადები შედგება დღგ-სგან, გადასახდელ და მისაღებ ანგარიშებზე.

9. მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ასი პროცენტი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კონტრაგენტის მიერ, შპს „გეოდისტრიბუცია“, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს კომპანიისთვის.

10. მოწოდებისა და სხვა საკრედიტო გადასახადები

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მოწოდებიდან და სხვა საკრედიტო გადასახადების ასი პროცენტი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კონტრაგენტის მიერ, ღსს თბილისი თობაქო, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს კომპანიისთვის.

11. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულებით შეფასებები ანალიზდება სამართლიანი ღირებულების იერარქიული დონით, შემდეგნაირად: i) პირველი დონეზე შეფასება ხორციელდება კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით აქტიურ ბაზრებზე, იდენტური აქტივების ან ვალდებულებების წილ; ii) მეორე დონეზე შეფასება ხორციელდება შეფასების ტექნიკითა და მეთოდით აქტივის ან ვალდებულების თანმდევი ყველა არსებითი ხარჯებით იქნება ეს პირდაპირი (როგორიცაა ფასი) ან ირიბი (როგორიცაა ფასიდან წარმოებული) და iii) მესამე დონეზე შეფასება ხორციელდება შეფასების მეთოდებით, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე მოძიებად, შესამჩნევ მონაცემებს (რაც წარმოადგენს შეუმჩნეველ ხარჯებს). მმართველობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციის გადაწყვეტილებას იღებს სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას იყენებს შესამჩნევ ხარჯებს, რომლებიც მოითხოვენ მნიშვნელოვან კორექტირებას - მაშინ ეს შეფასება წარმოადგენს მე-3 დონის შეფასებას. შეფასების ხარჯების მნიშვნელობა ფასდება მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასების მიმართ.

ამორტიზებულ ღირებულებით გადატანილი ფინანსური აქტივები.ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების შეფასების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებას, რომლებიც მიღებული უნდა იქნას მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის დისკონტით ახალი საკრედიტო ინსტრუმენტებისთვის მსგავსი საკრედიტო რისკითა და ნარჩენი შესრულების ვადით.გამოყენებული დისკონტის განაკვეთები დამოკიდებულია შემხვედრი (მეორე) მხარის საკრედიტო რისკზე. მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები უახლოვდებიან თავიანთ სამართლიან ღირებულებას მათივე მოკლევადიანი შესრულების ვადების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების (შესრულების ფაქსირებული ვადით) შეფასების სამართლიანი ღირებულება ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადებით, რომლებიც დისკონტირდება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის მსგავი საკრედიტო რისკითა და ნარჩენი შესრულების ვადით. კომპანიის მმართველობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ უწყისებში წარმოდგენილი ფინანრუსი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს.
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების სამართლიანი ღირებულება დადგინდა შეფასების 1-ლ დონეზე, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დადგინდა შეფასების მე-3 დონეზე.

კაპიტალის რისკის მართვა–კომპანია მართავს თავის კაპიტალს, რათა დარწმუნდეს, რომ კომპანიას შეეძლება მომავალში უწყვეტად ფუნქციონირება, როდესაც შეეძლება კაპიტალის მფლობელებს მაქსიმალურად მისცეს შემოსავალი ვალისა და კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციის ფარგლებში. კომპანიის მმართველობა რეგულარულად განიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. აღნიშნული განხილვის შედეგებზე დაფუძნებით, კომპანია იღებს ზომებს, რათა დააბალანსოს თავისი მთლიანი კაპიტალის სტრუქტურა დივიდენდების გადახდით, ახალი აქციების გამოშვებით, ასევე ახალი სესხებისა და კრედიტების აღებით ან არსებული სესხებისა და კრედიტებისაგან გათავისუფლებით.

ფინანსურ ინსტრუმენტთა მთავარი კატეგორიები–კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებებისაგან. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ოპერაციებისთვის თანხების მოძიება. კომპანიას აქვს სხვადასხვა ფინანსური აქტივი, როგორიცაა მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან და ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	64
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,022
სულ ფინანსური აქტივები	**2,086**

	2018 წლის 31 დეკემბერი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	46,194
სულ ფინანსური ვალდებულებები	**46,194**

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომავალი მთავარი რისკია: კრედიტი და ლიკვიდობის რისკები.

გეოგრაფიული რისკი.კომპანიის აქტივები მდებარეობს საქართველოში და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულად დამოკიდებულია ქვეყნის სტაბილობაზე და სამართლის ნორმაზე. საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის კონკრეტული მახასიათებლების გამოვლენას.როგორც ასეთი, კომპანია ქვეყნის მასშტაბით ექვემდებარება ბიზნეს-გარემოს ან იურიდიული გარემოს ნებისმიერი სახით გაუარესებას.
საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ მეორე მხარე არ გადაიხდის სრულად თავის ვალდებულებას.

მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნებისა და მთლიანი ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებულ მაქსიმალურ თანხას, თუმცა გაცემული მოთხოვნებისა და სესხების აკრეფა შესაძლოა მოექცეს ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ; მმართველობას სჯერა, რომ კომპანიის მიმართ არ არსებობს მნიშვნელოვანი ზარალის რისკი გარდა დებულებებისა, რომლებიც უკვე ჩაწერილია.
ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც კომპანიას არ შეუძლია ყველა ვალდებულების გასტუმრება (დაფარვა) მათი შესაბამისი ვადების მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილები დეტალურად გვაწვდის ინფორმაციას კომპანიის არანაწარმოები ფინანსური ვალდებულებების მიმართ

სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების თარიღების შესახებ თავისი შეთანხმებული ანგარიშსწორების პერიოდებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები აიგო ფიუნანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია უადრესი თარიღით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება ანგარიშსწორება.

	1 თვეზე ნაკლები	1 - 3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი						
მოწოდებიდან და სხა მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	-	46,194	-	-	**46,194**
	-	**-**	**46,194**	**-**	**-**	**46,194**

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, კომპანიის საერთო მმართველობისა და კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებს და ძირითადი მმართველი პერსონალის წევრებს.

დაკავშირებული მხარეები უფლებამოსილნი არიან, განახორციელონ ოპერაციები, რომელთა განხორციელებაც არ შეუძლიათ არადაკავშირებულ მხარეებს; დაკავშირებულ მხარეებს ასევე შეუძლიათ განახორციელონ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის, რომელსაც არ ექნება იგივე პირობები და გარემოებები, როგორც ოპერაციებს დაუკავშირებელ მხარეთა შორის, იმ პირობით რომ კომპანიის მიერ დაკავშირებულ მხარეთა მიმართ საქონლის გაყიდვები და შესყიდვები განხორციელდება ჩვეულებრივი სიით მოცემული ფასებით.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ მის იურიდიულ ფორმას. კომპანიას ჰქონდა შემდეგი ნაშთები თავის დაკავშირებულ მხარეებთან:

	2018 წლის 31 დეკემბერი			
	მფლობელი	საერთო კონტ.ქვეშ მყოფი საწარმოები	სხვა	სულ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	2,022	-	**2,022**
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	46,194	-	**46,194**
შემოსავლები	-	74,183	-	**74,183**
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	99,350	-	**99,350**

პერიოდის განმავლობაში ძირითადი მმართველობის ანაზღაურება იყო მოკლევადიანი შეღავათები, რაც 14 ათასი ლარის ექვივალენტია.

13. გაუთვალისწინებელი მდგომარეობები და ვალდებულებები

ვალდებულებები – 2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ ჰქონდა რაიმე სახის მნიშვნელოვანი, არსებითი გადაუხდელი ვალდებულება.

იურიდიული საქმისწარმოება. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია ჩართული არ ყოფილა რაიმე სახის მნიშვნელოვან, სადავო საქმისწარმოებაში. კომპანიის მმართველობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არანაირი არსებითი დაურიცხავი (წარმოუქმნელი) ზარალი არ მიადგება და შესაბამისადამ ფინანსურ უწყისთა მიმართაც არანაირი დებულება არ შემუშავდა.
გადასახადები–საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ შესაძლოა წარმოშვას სხვადასხვაგვარი განმარტება და შესწორება. დამატებით უნდა ითქვას, რომ გამომდინარე იქედან, რომ კომპანიის

მმართველობის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის განმარტება განსხვავდება საგადასახადო ორგანოთა მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციისგან, ოპერაციები შესაძლოა შედავებული იქნას საგადასახადო ორგანოთა მიერ და შედეგად, შესაძლოა კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და საპროცენტო გადასახდელები. კომპანიას სჯერა, რომ მან უკვე განახორციელა ყველა გადასახადის გადახდა და შესაბამისად არანაირი დაქვითავა აღარ განხორციელებულა ცალკეულ ფინანსურ უწყისში.

სამუშაო გარემო –საქართველოს მსგავსი განვითარებადი ბაზრები განვითარებულ ბაზრებთან შედარებით ექვემდებარება განსხვავებულ რისკებს; აღნიშნული რისკები მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში, ბიზნეს-საქმიანობაზე ზეგავლენის მქონე კანონები და დებულებები აგრძელებს საგადასახადო და მარეგულირებელ ჩრილში განვითარებას, რაც შესაძლოა სხვადასხვაგვარად იქნას განმარტებული. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება არის მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ; მასზე ასევე მოქმედებს იურიდიული, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემოს განვითარება.

წინა წლებში, საქართველომ განიცადა რიგი საკანონმდებლო ცვლილება, რომლებიც ფართოდ უკავშირდებოდა საქართველოს ევროკავშირში შესვლის გეგმას. როდესაც 2017-2018 წლებში საკანონმდებლო ცვლილებებმა მოამზადეს გზა, უფრო მეტია მოსალოდნელი საქართველოს ევროკავშირში შესაღწევი განვითარებადი სამოქმედო გეგმისგან.

აღნიშნულთან დამატებით უნდა ითქვას, რომ 2020 წლის დასაწყისში, მსოფლიო მასშტაბით სწრაფად გავრცელდა ახალი კორონავირუსის დაავადება (COVID-19), რის შედეგადაც 2020 წლის მარტში, მას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მიანიჭა პანდემიის სტატუსი. არაერთი ქვეყნის საპასუხო რეაქცია - შეაჩეროს COVID-19-ის გავრცელება, შედეგად იწვევს ბევრი კომპანიის მნიშვნელოვან საოპერაციო დარღვევებს და თავის მხრივ ხასიათდება გლობალური ფინანსური ბაზრის მნიშვნელოვნად უარყოფითი ზეგავლენით. გამომდინარე იქედან, რომ სიტუაცია სწრაფად ვითარდება, მან შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა გამოიწვიოს არაერთი კომპანიის ბიზნეს-საქმიანობაზე სხვადასხვა (ფართომასშტაბიან) სექტორებში, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი გავლენითა და ბიზნეს-ოპერაციების დანგრევით (დარღვევით), რომელიც განხორციელდა მათი პროდუქციის წარმოებაში ჩარევით ან საწარმოთა დახურვით, მოწოდების ჯაჭვის დარღვევით, პერსონალის კარანტინით, მოთხოვნის შემცირებითა და ფინანსური რესურსების მოძიების გართულებით. დამატებით უნდა ითქვას, რომ კომპანია შესაძლოა დადგეს COVID-19-ის ფართომასშტაბიანი, ზრდადი გავლენის ქვეშ, გლობალური ეკონომიკისა და ძირითადი ფინანსური ბაზრების მიმართ მისი უარყოფითი გავლენის გამო. COVID-19-ის გავლენის მნიშვნელობა კომპანიის ბიზნეს-საქმიანობაზე დიდად დამოკიდებულია მსოფლიოს ეკონომიკაზე და საქართველოს ეკონომიკაზე ვირუსის პანდემიური გავლენის ხანგრძლივობაზე და გავრცელების არეალზე.

14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ივნისსა და სექტემბერში შეიცვალა კომპანიის სააქციო კაპიტალის სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წილი კაპიტალში
შპს Smart Capital Production	45%
შპს Oxy Enterprise	50%
შპს Georgian Real Estate Development Group	5%
სულ	100%

შპს Oxy Enterprise and შპს Georgian Real Estate Development Group საბოლოო აქციონერები იყვნენ მიხეილ ჩხარტიშვილი და ირაკლი ძჩუბინი.

2019 წლის განმავლობაში დეკლარირებული და გადახდილ იქნა დივიდენდები 17 033 ლარი.

2019 წლის 27 სექტემბერს კომპანიამ მიიღო სს „ჰალიკ ბანკისგან“ სესხი 700 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, წლიური საპროცენტო განაკვეთი 8% და გასცა სესხი შპს Georgian Vine and Wine Company იგივე პირობებით.

2020 წლის 1 აპრილიდან კომპანია მხოლოდ ფილტრიანი სიგარეტის დისტრიბუციით არის დაკავებული.

15. ფინანსური უწყისების დამტკიცება

ფინანსური უწყისები დამტკიცდა მმართველი საბჭოს მიერ და გამოსაცემად დაშვებულ იქნა 2020 წლის 15 აპრილს.

საწარმოს ბიზნესის განვითარება, შესრულება და პოზიცია

შპს თობაქო ჰოლდინგი ("კომპანია") არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2018 წლის 22 იანვარს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სიგარეტის შეძენა და მათი გადაყიდვა.
კომპანიის მთავარი კლიენტია შპს გეო დისტრიბუცია, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს კომპანიისთვის.
კომპანიის გაყიდვების ასი პროცენტი დაკავშირებულია შპს გეო დისტრიბუციასთან.
2018 წელს კომპანიამ 74,183 ათასი ლარის შემოსავალი დააფიქსირა. მთლიანი მოგების ზღვარი 2018 წელს 84% -ს შეადგენდა.

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

2020 წლიდან კომპანია გეგმავს ბიზნეს მოდელის შეცვლას და სიგარეტის ექსპორტს დუბაიში მყოფ კომპანიაში, რომელიც მუშაობს მსოფლიოში და მისი ძირითადი გაყიდვების არხები წარმოადგენს უბაჟო მაღაზიებს აეროპორტებში. სტრატეგიის განხორციელება შეფერხდა COVID 19-თან დაკავშირებული შეზღუდვების გამო.

კომპანიამ 2020 წლის ივნისიდან შეასრულა COVID-19 დაკავშირებული რისკების გადაფასება და დაადგინა ბიზნესის უწყვეტობის გეგმა აღწერილი ფინანსური ანგარიშგების მე -3 შენიშვნაში.

კომპანია გეგმავს გაითვალისწინოს ყველა რეკომენდაცია და კანონის მოთხოვნები, რათა უზრუნველყოს მისი საქმიანობის დაშვება.

საწარმოს კრედიტის, ბაზრის, ლიკვიდურობის, ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების და მექანიზმების მიმოხილვა მათი მართვისთვის

კომპანიის მომხმარებლისა და მიმწოდებლის საშუალო საკრედიტო პერიოდი 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 30 დღისთვის, თითქმის ყველა გადახდა განხორციელდა მოთხოვნის საფუძველზე. ამჟამინდელი კოეფიციენტი იყო შესაბამისად 0,96 და 1, შესაბამისად, 2019 და 2018 წლებში.

ძირითადი რისკები და არასაიმედოობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკის მართვის კუთხით

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები უკავშირდება შემდეგს:

	რისკისა და გაურკვევლობის განმარტება	მმართველობის მიერ გატარებული საპასუხო ზომები
1	პოლიტიკური რისკები - არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს პროდუქციის მოთხოვნაზე, შემოსავლებზე და მომგებიანობაზე.	მმართველობა ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა გააკეთოს პოტენციური განვითარების პროგნოზი და მიიღოს საჭირო და ადექვატური ზომები.
2	Covid-19 რისკი - ბიზნეს-საქმიანობის მოშლა, პროდუქციის წარმოებაში ჩარევის გამო, საწარმოთა დახურვის გამო, მიწოდების ჯაჭვის დარღვევა, პერსონალის კარანტინში მოთავსება, შემცირებული მოთხოვნა და სირთულეები ფინანსების მოძიებაში (ფინანსირებაში).	მმართველობა იცავს ჯანმრთელობის ორგანიზაციის ყველა ზომასა და რეკომენდაციას , რათა უზრუნველყოს, რომ ბიზნეს-საქმიანობები აკმაყოფილებს Covid-19-თან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს და კომპანიამ განაგრძოს ფუნქციონირება.

შპს თობაქო ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგებები (უწყისები),
მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა
2018 წლის 31 დეკემბერით დასრულებული
პერიოდისთვის

შპს თობაქო ჰოლდინგი

სარჩევი

გვერდი

მმართველობის პასუხისმგებლობათა განაცხადი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსურ უწყისთა მომზადებაზე და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

ფინანსური უწყისები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

მოგება-ზარალის ანგარიშგება და სხვა ერთიანი შემოსავლის უწყისი 5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (საბალანსო უწყისი) 6

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) 8

ფინანსურ ანგარიშგებებზე თანდართული შენიშვნები 9-22

1. ზოგადი ინფორმაცია 9
2. ახალი და გადახედილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება 9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება 11
4. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით 18
5. შემოსავალი 19
6. გაყიდვების ხარჯები 19
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგი 19
8. წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა 19
9. მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 19
10. მოწოდებისა და სხვა საკრედიტო გადასახადები 19
11. ფინანსური ინსტრუმენტები 19
12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 21
13. გაუთვალისწინებელი მდგომარეობები და ვალდებულებები 21
14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 22
15. ფინანსური უქყისების დამტკიცება 22

მმართველობის ანგარიში 23

შპს თობაქო ჰოლდინგი

მმართველობის პასუხისმგებლობათა განაცხადი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსურ უწყისთა მომზადებაზე და დამტკიცებაზე

მმართველობა პასუხისმგებელია ფინანსური უწყისების მომზადებაზე, რომლებიც წარმოადგენენ შპს თობაქო ჰოლდინგის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია")ფინანსურ უწყისებს 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი ოპერაციების შედეგებს, აღნიშნული წლის ბოლოსთვის კაპიტალში და ფულადი ნაკადების მოძრაობაში ცვლილებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ასევე მოხსენიებული, როგორც „IFRS") მიხედვით

ფინანსური უწყისების მომზადებისას, მმართველობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის ჯეროვნად არჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის (მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის) იმგვარად წარმოდგენა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შედარებით და აღქმად ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, როდესაც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილება არასაკმარისია მომხმარებელთა მიერ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებათა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსურ ფუნქციონირებაზე გავლენის აღსაქმელად;
  - კომპანიის უწყვეტად ფუნქციონირების უნარის შეფასება.
  - მენეჯმენტის ანგარიშში იმ ინფორმაციის გაშუქება, როგორც ამას მოითხოვს საქართვრლოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ.
  - მენეჯმენტის ანგარიშის მომზადება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად

მმართველობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- დაგეგმოს, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემა მთელი კომპანიის მასშტაბით;
- აწარმოოს და შეინარჩუნოს ადექვატური საბუღალტრო ჩანაწერები, რომლებიც საკმარისია კომპანიის ოპერაციების წარმოსადგენად, ასახსნელად და ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (საბალანსო უწყისის) წარმოსაჩენად, რაც მათ უფლებამოსილს გახდის - დარწმუნდნენ, რომ კომპანიის ფინანსური უწყისები აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS);
- შეინარჩუნოს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც გონივრულად ხელმისაწვდომია მმართველობის წარმომადგენლებისთვის კომპანიის აქტივების დასაცავად; და
- თავიდან აიცილოს და აღმოაჩინოს თაღლითობა დ ასხვა დარღვევები.

2020 წლის 15 აპრილს, მმართველობამ დაამტკიცა კომპანიის ფინანსური უწყისები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

მმართველობის სახელით:

ხელმოწერილია
აბიბო მეგენეიშვილი
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
2020 წლის 15 აპრილი

ხელმოწერილია
ელზა ლურსმანაშვილი
მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
2020 წლის 15 აპრილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს თობაქო ჰოლდინგის მფლობელებსა და მმართველებს:

ჩვენი მოსაზრება

ჩვენ აუდიტორული შემოწმება ჩავუტარეთ შპს **თობაქო ჰოლდინგის** (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია“) ფინანსურ უწყისებს, რომლებიც შედგება შემდეგი ანგარიშგებებისგან: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (საბალანსო უწყისი) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; მოგება-ზარალის ანგარიშგება და სხვა ერთიანი შემოსავლის უწყისი; ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება აღნიშნული წლის ბოლოსთვის და ფინანსურ ანგარიშგებებზე თანდართული შენიშვნები მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამების ჩათვლით.

ჩვენი მოსაზრების თანახმად, ფინანსური უწყისები ყველა არსებით ასპექტში სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და კომპანიის ფინანსურ ფუნქციონირებას და მის ფულადი სახსრების მოძრაობას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, რაც წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.

მოსაზრების საფუძველი

2019 წლის 29 ოქტომბერს, ჩვენ დავინიშნეთკომპანიის აუდიტორებად და ამრიგად, ვერ დავაკვირდით წლის ბოლოსათვის ჩატარებულ ფიზიკურ ინვენტრარიზაციას. წარდგენილი ალეტერნატული საშუალებვებით ვერ მოვახერხეთ დაკმაყოფილება 2018 წლის 1 იანვარს ჩატარებული ინვენტარიზაციით. მას შემდეგ, რაც მარაგების დახურვა ფინანსური საქმიანობისა და ფულადი სახსრების ნაკადის განსაზღვრაში მოვახერხეთ, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, შემოსავალში, ფულადი სახსრების მოგებაში, მოგების მიმართ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, მოხსენიებული ოპერაციული საქმიანობიდან მიღებული ნაკადებით.

ჩვენი აუდიტური შემოწმება ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით (“ISA”). ამ სტანდარტების ფარგლებში ჩვენი პასუხისმგებლობა შემდგომში აღწერილია ამ დასკვნის სექციაში სახელწოდებით: „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების (უწყისების) აუდიტზე“.ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის საბჭოს კოდექსის (პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი) მიხედვით, ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან. ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის საბჭოს კოდექსის (პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი) ფარგლებში, ჩვენ ასევე შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობებიც.ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულება საკმარისია და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების საფუძვლის წარმოსადგენად.

აქცენტი საკითხზე

როგორც ფინანსურ უწყისების მე-12 მითითებაშია აღწერილი, 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, კომპანიის გაყიდვების ასი პროცენტი მოდიოდა დაკავშირებულ მხარეებზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი აზრი არ შეცვლილა.

სხვა ინფორმაცია

მმართველობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენი აზრით, ფინანსურ ანგარიშგება არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და ამით გავითვალისწინოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებით შეუსაბამობაში ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან. თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ ამ სხვა ინფორმაციის არსებითი არასწორი ცნობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ გაცნობოთ ეს ფაქტი.

მმართველობისა და ფინანსური ანგარიშგებების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები

მმართველობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე რაც განხორციელდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ის) მიხედვით და იმგვარი შიდა კონტროლის ფარგლებში, როგორსაც საჭიროების მიხედვით განსაზღვრავს მმართველობა, რათა შესაძლებელი გახდეს იმგვარი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება, სადაც ადგილი არ ექნება არასწორ განაცხადს, ცრუ განცხადებას თაღლითობის ან შეცდომის გამო.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, მმართველობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა - შემდგომში უწყვეტად განაგრძოს ფუნქციონირება და შესაბამისობის მიხედვით, გაამჟღავნოს კომპანიის უწყვეტად ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, რა დროსაც აღრიცხვის საფუძვლად გამოიყენებს უწყვეტად ფუნქციონირებას, თუ მმართველობა ან აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ფუნქციონირების შეწყვეტას, ან თუ არ აქვს ამ უკანასკნელი ზომების მიღების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მმართველობის უფლებამოსილების მქონენი პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების (უწყისების) აუდიტზე

ჩვენი მიზნებია, მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში არ შეიცავს არსებით არასწორ განაცხადს, ცრუ განცხადებას თაღლითობის ან შეცდომის მიზეზით, ასევე გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა იგი არ წარმოადგენს გარანტიას, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით (ISA) ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს მასში არსებულ არსებით არასწორ განაცხადს. ცრუ განცხადება შესაძლოა წარმოიქმნას თაღლითობიდან ან შეცდომის გამო და იგი მიჩნეულია არსებითად თუ ცალკეულად ან მთლიანობაში გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მას შეუძლია გავლენა იქონიოს მომხმარებელთა მიერ, ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) მიხედვით ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვიღებთ პროფესიულ გადაწყვეტილებებს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ჩვენ ასევე ვახორციელებთ შემდეგს:

- ფინანსური ანგარიშგების არსებითად არასწორი განაცხადის რისკების იდენტიფიცირება და შეფასება, გამოწვეული იყო ისინი თაღლითობის თუ შეცდომის გამო; აღნიშნულ რისკებზე სწრაფად რეაგირებადი აუდიტის პროცედურების დაგეგმვა და შესრულება და აუდიტური მტკიცებულების მოპოვება, რომელიც შესაფერისი და საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების საფუძვლის წარმოსადგენად. თაღლითობის მიზეზით არსებული არსებითი არასწორი განაცხადის ვერაღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომიდან გამომავალი არასწორი განაცხადის აღმოუჩენლობის რისკი, რადგანაც შესაძლოა, თაღლითობა მოიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, განზრახ დაუდევრობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის წინააღმდეგ ქმედებას.
- აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის შესახებ ცოდნის მიღება, რათა დაიგეგმოს გარემოების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრებამ გამოხატოს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობა.
- შეფასდეს გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და წინარე აღრიცხვების კორექტულობა, ასევე მმართველობის მიერ შესრულებული, შესაბამისად დაკავშირებული აღმოჩენები.
- დასკვნა მმართველობის მიერ ფუნქციონირების უწყვეტობის საფუძველზე აღრიცხვის წარმოების შესაბამისობაზე და მიღებული აუდიტის მტკიცებულებაზე დაყრდნობით - თუ არსებობს არსებითი გაურკვევლობები მოვლენებთან ან გარემოსთან დაკავშირებით, რომელთაც თავის მხრივ შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი წარმოშვან კომპანიის მომავალში უწყვეტად ფუნქციონირების უნართან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ მოგვეთხოვება, ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებებში შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ხოლო თუკი ამგვარი

გამჟღავნებული ინფორმაცია არაადექვატურია - შევცვლით ჩვენს მოსაზრებას. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტურ მტკიცებულებას, რომელიც მოპოვებულია ჩვენი აუდიტორული დასკვნის თარიღამდე, თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან გარემოებებმა შესაძლოა შეწყვიტოს კომპანიის უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირება.

ჩვენ ვუკავშირდებით პირებს, ვისაც ევალება ხელმძღვანელობა და სხვა საკითხებთან ერთად განვიხილავთ შემდეგს: აუდიტის დაგეგმილი ფარგლები და დრო და მნიშვნელოვანი აუდიტური აღმოჩენები, შიდა კონტროლში ნებისმიერი მნიშვნელოვანი დეფექტების ჩათვლით, რომელსაც ჩვენ დავადგენთ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის პროცესის მსვლელობისას.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

მმართველობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, და ისეთი შიდა კონტროლისთვის, რომელსაც მმართველობა დაადგენს, აუცილებელია მმართველობის ანგარიშის მომზადება, რომელიც თავისუფალი იქნება არსებითი ცდომილებისგან, იქნება ეს თაღლითობის ან შეცდომის გამო.

ჩვენ შევასრულეთ პროცედურები იმის თაობაზე, თუ რამდენად არის მომზადებული მმართველობის ანგარიში "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ინფორმაციას "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" რაც გათვალისწინებული საქართველოს კანონით.

ჩვენ შევარჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები ჩვენი განსჯის საფუძველზე, მათ შორის არ შემოვიფარგლეთ მხოლოდ გამოკვლევებით, დოკუმენტაციის ანალიზითა და მიმოხილვით, კომპანიის პოლიტიკის, პროცედურების, მეთოდოლოგიების შედარებისა და ინფორმაციული ინფორმაციი სშესახებ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობით. აგრეთვე მოვახდინეთ რიცხვითი მნიშვნელობებისა და სხვა ინფორმაციის გადაანგარიშება, შედარება და შეჯერება.

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბრის მმართველობის ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის 31 დეკემბრის მმართველობის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას რაც გათვალისწინებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.
- 2018 წლის 31 დეკემბრის მენეჯმენტის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ ანგარიშგებას.

სტიუარტ ლეიგჰტონ /Stuart Leighton/
შპს„Deloitte and Touche“-ს სახელით

2020 წლის 15 აპრილი
თბილისი, საქართველო

შპს თობაქო ჰოლდინგი

მოგება-ზარალის ანგარიშგება და სხვა ერთიანი შემოსავლის უწყისი
2019 წლის **31** დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	მითითება	2018 წლის იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი
შემოსავალი	5	74,183
გაყიდვების ხარჯი	6	(61,942)
მთლიანი მოგება		**12,241**
ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(16)
უცხოური ვალუტის კურსთაშორისი სხვაობით მიღებული წმინდა ზარალი		(22)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		**12,247**
სავალუტო ზარალი		
მოგების გადასახადის ხარჯი		(763)
		11,484
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		
მოგება წლის / პერიოდის მანძილზე		**-**
სხვა ერთიანი შემოსავალი		**11,484**

მმართველობის სახელით

ხელმოწერილია
აბიბო მეგენეიშვილი
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
2020 წლის 15 აპრილი

ხელმოწერილია
ელზა ლურსმანაშვილი
მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
2020 წლის 15 აპრილი

9-22 გვერდებზე მოცემული მითითებები წარმოადგენს ამ ფინანსურ ანგარიშგებათა განუყოფელ ნაწილს

შპს თობაქო ჰოლდინგის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

აქტივები	მითითება	2018 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები		1
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1**
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	7	37,408
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	8	2,022
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	9	6,675
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		64
სულ მიმდინარე აქტივები		**46,169**
სულ აქტივები		**46,170**
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება		(92)
სულ საკუთარი კაპიტალი		**(92)**
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
მოგების გადასახადის ვალდებულება		68
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	10	46,194
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**46,262**
სულ ვალდებულებვები		**46,262**
სულ ვალდებულევბები და საკუთარი კაპიტალი		**46,170**

მმართველობის სახელით

ხელმოწერილია
აბიბო მეგენეიშვილი
გენერალური დირექტორი

2020 წლის 15 აპრილი
თბილისი, საქართველო

ხელმოწერილია
ელზა ლურსმანაშვილი
ფინანსური დირექტორი

2020 წლის 15 აპრილი
თბილისი, საქართველო

9-22 გვერდებზე მოცემული მითითებები წარმოადგენს ამ ფინანსურ ანგარიშგებათა განუყოფელ ნაწილს

შპს თობაქო ჰოლდინგი

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	მითითება	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ბალანსი 2018 წლის 22 იანვრის მდგომარეობით		-	-
სულ ერთიანი შემოსავალი წლის განმავლობაში		11,484	**11,484**
დეკლარირებული დივიდენდი		(11,576)	**(11,576)**
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**(92)**	**(92)**

მმართველობის სახელით

ხელმოწერილია
აბიბო მეგენეიშვილი
გენერალური დირექტორი

2020 წლის 15 აპრილი
თბილისი, საქართველო

ხელმოწერილია
ელზა ლურსმანაშვილი
ფინანსური დირექტორი

2020 წლის 15 აპრილი
თბილისი, საქართველო

9-22 გვერდებზე მოცემნული მითითებები წარმოადგენს ამ ფინანსურ ანგარიშგებათა განუყოფელ ნაწილს

შპს თობაქო ჰოლდინგი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 22 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	პერიოდი 2018 წლის 22 იანვრიდან 31 დეკემბრამდე
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობებიდან	
წლის / პერიოდის მოგება	11,484
კორექტირება:	
მოგების გადასახადის ხარჯი	763
ფინანსური ხარჯი	(22)
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობებიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	**12,225**
მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნებისა და ავანსების ზრდა	(2,022)
წინასწარი გადახდების ზრდა	(6,676)
მარაგების ზრდა	(37,408)
მოწოდებისა და სხვა კრედიტორული დავალიანების ზრდა	46,194
ფულადი სახსრების შემოდინება ოპერაციებიდან	**12,313**
გადახდილი მოგების გადასახადი	(694)
მიღებული პროცენტი	22
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები	**11,641**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის შეძენა და არამატერიალური აქტივები	(1)
წმინდა ფულადი სახსრები, რომლებიც გამოიყენება ინვესტიციის საქმიანობაში	**(1)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
გადახდილი დივიდენდები	(11,576)
წმინდა ფულადი სახსრები, რომლებიც გამოიყენება ფინანსურ საქმიანობაში	**(11,576)**
წმინდა ზრდა ფულადი სახსრებისა და თანხების ექვივალენტური საშუალებებით	64
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე	-
ფულადი სახსრები და თანხები, პერიოდის დასაწყისში	**-**
ფულადი სახსრები და ფულადი თანხები, პერიოდის ბოლოს	**64**

მმართველობის სახელით

ხელმოწერილია
აბიბო მეგენეიშვილი
გენერალური დირექტორი

2020 წლის 15 აპრილი
თბილისი, საქართველო

ხელმოწერილია
ელზა ლურსმანაშვილი
ფინანსური დირექტორი

2020 წლის 15 აპრილი
თბილისი, საქართველო

9-22 გვერდებზე მოცემული მითითებები წარმოადგენს ამ ფინანსურ ანგარიშგებათა განუყოფელ ნაწილს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თობაქო ჰოლდინგი (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2018 წლის 22 იანვარს საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოს მიერ ნომრით: 406235514. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: გიორგი ნადარეიშვილის ქ. #7, თბილისი, საქართველო.

კომპანია იძენს სიგარეტს და შემდეგ აწარმოებს მის გაყიდვას. კომპანია იძენს სიგარეტს ღსს თბილისი თობაქოსგან და ყიდის პროდუქციას შპს გეოდისტრიბუციაზე. ორივე კომპანია წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას ფლობდა შემდეგი აქციონერები:

	2018 წლის 31 დეკემბერი
ირაკლი ჩუბინი (65002002091)	50%
შპს „სმარტ კაპიტალ პროდაქშენ" (404550650)	50%
სულ	**100%**

2018 წლის 31 დეკემბრისთვის შპს „სმარტ კაპიტალ პროდაქშენის" საბოლოო აქციონერი იყო მიხეილ ჩხარტიშვილი.

2. ახალი და გადახედილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ არ გამოიყენა შემდეგი ახალი და შესწორებული IFRS სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ეფექტური

- IFRS პუნქტი16 იჯარის შესახებ[1];
- IFRS პუნქტი 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები[2];
- IFRS დამატებები პუნქტი 9-ში, წინასწარი გადახდის მახასიათებლების ცვლილებები უარყოფითი კომპენსაციით [1];
- დამატებები IAS 28 გრძელვადიანი ინტერესები ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებში [3];
- IFRS სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2015-2017 წლების ციკლი[1];
- შესწორებები IAS,პუნქტი 19, თანამშრომელთა შეღავათები[3];
- IFRIC პუნქტი 23გაურკვევლობები საგადასახადო სისტემაში[4];
- IFRS პუნქტი10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და IAS 28 (ცვლილებები) [5].

[1] ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, ნებადართულია მისი გამოყენება ადრე პერიოდშიც
[2] ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, ნებადართულია მისი გამოყენება ადრე პერიოდშიც
[3] ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, ნებადართულია მისი გამოყენება ადრე პერიოდშიც
[4] ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, როგორც სრული ვერსიის ასევე მისი სახეშეცვლილიშეცვლილი ვარიანტის გამოყენებით, შედარებისათვის არსებული ან სამომავლო გადახედვის გარეშე.
[5] IASB გასს-ს მიერ ჯერჯერობით არ არის დადგენილი შესწორებების ძალაში შესვლის თარიღი; ამასთან, ნებადართულია შესწორებების ადრე გამოყენება.

IFRS 16 იჯარა

IFRS 16 გთავაზობთ ყოვლისმომცველ მოდელს საიჯარო ხელშეკრულებების იდენტიფიკაციისა და მათი გამოყენების შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც გამქირავებლის, ასევე მოიჯარისთვის. IFRS 16

ჩაანაცვლებს მიმდინარე საიჯარო მითითებებს, IAS 17 იჯარისა და მასთან დაკავშირებული ინტერპრეტაციების ჩათვლით, როდესაც იგი შევა ძალაში იმ საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. IFRS 16-ის, კომპანიის თავდაპირველი გამოყენების თარიღი იქნება 2019 წლის 1 იანვარი. კომპანიამ შეარჩია IFRS 16-ის შეცვლილი ადრინდელი მოდელის გამოყენება IFRS 16-ის შესაბამისად: C5. შესაბამისად, კომპანია არ აკეთებს განაცხადს შედარებითი ინფორმაციის შესახებ. კომპანია მიზანშეწონილად თვლის პრაქტიკულად გამოიყენოს სტანდარტი IFRS 16-ზე გადასვლისთანავე, რათა არ გადაფასდეს ხელშეკრულება არის თუ არა იგი საიჯარო.

აქტივის გამოყენების უფლება საწყის ეტაპზე განისაზღვრება თვითღირებულებით და შესაბამისად ფასდება თვითღირებულებით (გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით), მინუს დრიცხული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, რომლებიც კორექტირდება იჯარის ვალდებულების ნებისმიერი ხელახალი შეფასებისას. იჯარის ვალდებულება საწყის ეტაპზე ფასდება ვადაზე გადაუხდელი საიჯარო ანგარიშსწორების მიმდინარე ღირებულებით. შესაბამისად, საიჯარო ვალდებულება კორექტირდება საპროცენტო და საიჯარო გადახდებით, ასევე სხვა დანარჩენთა შორის, იჯარის მოდიფიცირებათა ზეგავლენით. მეტიც, ფულადი ნაკადების მოძრაობის კლასიფიცირება ასევე ზეგავლენილი იქნება როგორ საოპერაციო იჯარის გადახდები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS) 17-ის ფარგლებში და ისინი წარმოდგენილია, როგორ საოპერაციო ფულადი ნაკადების მოძრაობა; მაშინ, როდესაც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) 16 მოდელის ფარგლებში, საიჯარო გადახდები იყოფა ძირ თანხად და პროცენტულ ნაწილად, რომლებიც შესაბამისად წარმოგვიდგება საფინანსო და საოპერაციო ფულადი ნაკადების მოძრაობად.

მოიჯარის აღრიცხვისგან განსხვავებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) 16-ს მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები ძირითადად გადმოაქვს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS) 17-ში, და აგრძელებს მეიჯარეზე მოთხოვნას, მოახდინოს იჯარის კლასიფიცირება როგორც საოპერაციო იჯარა ან როგორც საფინანსო იჯარა.

კომპანია აღიარებს ახალ აქტივებს და ვალდებულებებს საწყობისა და საოფისე ფართების საოპერაციო იჯარისთვის. ამ იჯარებთან დაკავშირებული დანახარჯების ხასიათი ახლა შეიცვლება, რადგან IFRS 16 სტანდარტის გამოყენებისას შეცვლება ოპერაციული საიჯარო ხარჯი ამორტიზაციის საფასურით, გამოყენების უფლების მქონე აქტივებისა და საიჯარო ვალდებულებების პროცენტის ხარჯზე.

წინა ჯერზე, კომპანიამ საოპერაციო იჯარის ხარჯი აღიარა სწორხაზოვნად - იჯარის ვადაზე, და აქტივები და ვალდებულებები აღიარა მხოლოდ იმ ჭრილში, რომ არსებობდა დროითი სხვაობა ფაქტობრივ საიჯარო გადახდებსა და აღიარებულ ხარჯს შორის.

კომპანიის მმართველობამ შეასრულა ახალი მოთხოვნების შეფასება და დაასკვნა, რომ ფასს 16-ის გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) 9-ში: საავანსო მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით

IFRS 9-ში შეტანილი ცვლილებები განმარტავს, რომ წინასწარი გადახდის მახასიათებლის SPPI პირობის შესრულების შეფასების მიზნით, მოცემული ვარიანტით, განმახორციელებელმა მხარემ შეიძლება გადაიხადოს ან მიიღოს წინასწარი გადახდის გონივრული კომპენსაცია წინასწარი გადახდის მიზეზის მიუხედავად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უარყოფითი კომპენსაციის მქონე წინასწარი გადახდის ფუნქციები ავტომატურად არ ჩამორჩება SPPI- ს. კომპანიის მმართველობა არ ელოდება, რომ IFRS 9-ში შეტანილი ცვლილებების გამოყენებამ შეიძლება იქონიოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ყოველწლიური გაუმჯობესებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2015-2017 ციკლში

მისი ყოველწლიური გაუმჯობესება მოიცავს ოთხ სტანდარტში შესწორებებს: IFRS 3-ე ბიზნეს კომბინაციაში შესწორებები, IFRS 11-ის ერთობლივი შეთანხმებები, IAS 12-ის საშემოსავლო გადასახადი და, IAS 23-ს სესხის აღების ხარჯები.IAS 12-ში შესწორებები განმარტავს, რომ საწარმომ უნდა აღიაროს მოგების ან ზარალის დივიდენდების, სხვა სრულყოფილი შემოსავლის ან საკუთარი კაპიტალის მოგების გადასახადის შედეგები, იმის მიხედვით, თუ საწარმომ თავდაპირველად ცნო განაწილებული მოგება.ეს ხდება იმისდა მიუხედავად, განსხვავებული საგადასახადო განაკვეთები ვრცელდება თუ არა განაწილებულ და არ განაწილებულ მოგებაზე.

IAS 12-ში შესწორებები განმარტავს, რომ საწარმომ უნდა აღიაროს მოგების ან ზარალის დივიდენდების, სხვა სრულყოფილი შემოსავლის ან საკუთარი კაპიტალის მოგების გადასახადის შედეგები, იმის მიხედვით, თუ სად

წარმოადგინა საწარმომ განაწილებადი მოგება. ეს ხდება იმისდა მიუხედავად, განსხვავებული საგადასახადო განაკვეთები ვრცელდება განაწილებულ და განაწილებულ მოგებაზე.
IAS 23-ში შესწორებები განმარტავს, რომ თუ რომელიმე კონკრეტული სესხი რჩება გადაუხდელი მას შემდეგ, რაც აქტივი მზად არის გამოყენებისთვის ან გასაყიდად, ეს სესხი ხდება იმ სახსრების ნაწილი, რომელსაც საწარმო ზოგადად სესხულობს სესხების კაპიტალიზაციის მაჩვენებლის გაანგარიშებისას.

IFRS 3-ში შესწორებები განმარტავს, რომ როდესაც სუბიექტი მიიღებს კონტროლს ბიზნესზე, რომელიც წარმოადგენს ერთობლივ ოპერაციას, საწარმო იყენებს მოთხოვნებს ბიზნესის კომბინაციისთვის, რომელიც მიღწეულია ეტაპობრივად, მათ შორის მისი წინა წილის ინტერესის (PHI) გადაანგარიშებით სამართლიანი ღირებულებით. PHI მოიცავს ერთობლივ ოპერაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ არაღიარებულ აქტივს, ვალდებულებას და კეთილსურვილს.

IFRS 11-ში შესწორებები განმარტავს, რომ როდესაც მხარე, რომელიც მონაწილეობს, მაგრამ მას არ აქვს ერთობლივი კონტროლი, ერთობლივ ოპერაციაში, რომელიც წარმოადგენს ბიზნესს, მიიღებს ერთობლივ კონტროლს ამ ერთობლივ ოპერაციაზე, და არ ხდება PHI- ს გაზომვას ერთობლივ ოპერაციაში.

ყველა შესწორება ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ და, ზოგადად, საჭიროებს სავარაუდო გამოყენებას. ნებადართულია ადრე გამოყენება. კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება, რომ ამ ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური აღრიცხვის განმარტების საერთაშორისო კომიტეტი (IFRIC) 23: გაურკვევლობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით

IFRS 23 ადგენს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს სააღრიცხვო საგადასახადო მდგომარეობა, როდესაც არსებობს გაურკვევლობა საშემოსავლო გადასახადის დაფარვის შესახებ. ინტერპრეტაცია მოითხოვს სუბიექტისაგან:

- განსაზღვროს, გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები ფასდება ცალკეულად თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, შესაძლებლია თუ არა, რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს საწარმოს მიერ გაურკვევლად აღრიცხული მოგების გადასახადი ან გაურკვევლად აღსარიცხი მოგების გადასახადი;
  - თუ კი, კომპანიამ შესაბამისად უნდა განსაზღვროს თავისი გადასახადის აღრიცხვის პოზიცია, რომელიც გამოიყენა ან რომლის გამოყენებასაც გეგმავს თავისი მოგების გადასახადის წარსადგენად.
  - უარის შემთხვევაში, კომპანიამ უნდა ასახოს გაურკვევლობის გავლენა, როდესაც განსაზღვრავს თავისი გადასახადის აღრიცხვის პოზიციას, როდესაც გამოიყენებს ან ყველაზე მეტად შესაფერის თანხას ან მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს.

კომპანიის მმართველობა არ ფიქრობს, რომ ცვლილებების გამოყენებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

მომზადების საფუძველი. აღნიშნული ფინანსური უწყისები მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS)-ის მიხედვით, ასევე საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“-ის მიხედვით. ქვემოთ მოყვანილია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლებიც გამოყენებული იქნა ამ ფინანსური უწყისების მომზადებისას. თუ სხვაგვარად არაა განსაზღვრული, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად მიესადაგა ყველა წარმოდგენილ პერიოდს.

ფინანსური უწყისები მომზადდა თავდაპირველი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის საფუძველზე. თავდაპირველი (ისტორიული) ღირებულება ზოგადად ეფუძნება სამართლიან ღირებულების თანხას, რომელიც გადახდილია აქტივების სანაცვლოდ.

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემით შეფასების დღისთვის შესრულებულ ჩვეულებრივ ოპერაციებში ბაზრის მონაწილეთა შორის მიუხედავად იმისა, აღნიშნული ფასი პირდაპირ დგინდება თუ განისაზღვრება შეფასების სხვა ტექნიკითა თუ მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუკი ბაზრის მონაწილეებს სურთ, ამგვარი მახასიათებლების გათვალისწინება აქტივის ან ვალდებულების შეფასების დღისთვის ფასდებისას. ამ ფინანსურ უწყისებში სამართლიანი ღირებულება განსაზღვრის და / ან გამჟღავნების მიზნებით დადგენილია იმგვარად, რომ გამოირიცხება წილზე დაფუძნებული

ანგარიშსწორების ოპერაცია, რომელიც მოცემულია გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) 2-ში, საიჯარო ოპერაციები, რომლებიც მოცემულია გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS) 17-ში და შეფასებები, რომლებიც მსგავსია სამართლიან ღირებულებისა, თუმცა არ წარმოადგენენ სამართლიან ღირებულებას, როგორიც არის წმინდა რეალიზებადი ღირებულება გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS) 2-ში ან გამოყენებადი ღირებულება გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS) 36-ში.

დამატებით უნდა ითქვას, რომ ფინანსური ანგარიშგების მიზნებით, სამართიანი ღირებულების შეფასება კატეგორიზდება 1-ლ, მე-2 და მე-3 დონეებად, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ხარისხს, რომლის მიმართაც სამართიანი ღირებულების შეფასების ხარჯები თვალსაჩინოა და სამართლიანი ღირებულების შეფასების ხარჯების მთლიანი მნიშვნელობა, რომელიც შემდეგნაირად აღიწერება:

- 1-ლი დონის ხარჯებს წარმოადგენს კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებზე ან ვალდებულებებზე, რომლებზეც საწარმოს აქვს წვდომა შეფასების თარიღით;
- მე-2 დონის ხარჯები არის ხარჯები 1-ლ დონეში შესულ კოტირებულ ფასების გარდა, რომლებიც აშკარაა აქტივის ან ვალდებულების მიმართ პირდაპირ ან ირიბად; და
- მე-3 დონის ხარჯებს წარმოადგენს აქტივის ან ვალდებულების მიმართ არსებული შეუმჩნეველი ხარჯები.

ფუნქციონირების უწყვეტობა. - აღნიშნული ფინანსური უწყისები მომზადდა მმართველობის მიერ იმ დაშვებით, რომ კომპანია ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად, რომელიც ვარაუდობს, რომ კომპანიას საპროგნოზო მომავალში, ბიზნეს-საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში შეეძლება რეალიზება გაუკეთოს თავის აქტივებს და გათავისუფლდეს თავისი ვალდებულებებისგან.

ფუნქციონალური (სამუშაო) ვალუტა. თითოეული კომპანიის საწარმოს ფინანსურ უწყისებში შესული პუნქტები იყენებს აღნიშნული საწარმოს ფუნქციონირების ეკონომიკური გარემოს მიხედვით არსებულ ძირითად ვალუტას (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ფუნქციონალური ვალუტა"). ფუნქციონალური (სამუშაო) ვალუტა მმართველი კომპანიისა წარმოადგენს ქართულ ლარს (GEL). კომპანიის ფინანსური უწყისების წარმომადგენლობითი ვალუტა არის ასევე ლარი. ყველა თანხა მრგვალდება ათას ლარში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარადაა მითითებული.

დაბალანსება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ბალანსდება და საბალანსო უწყისში აღირიცხება წმინდა ღირებულება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად აღსრულებადი უფლება - დაბალანსდეს აღიარებული თანხები და არსებობს განზრახვა - დარეგულირდეს ურთიერთჩათვლით, ან რეალიზდეს აქტივები და ჩაითვალოს ვალდებულებები ერთი და იგივე დროს. შემოსავალი და ხარჯები არ დაბალანსდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში თუ არ მოითხოვება ან დაშვებული არ იქნება აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან განმარტებით და როგორც სპეციფიურად წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

შემოსავალი. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი აღიარდება როდესაც კმაყოფილდება ქვემოთ მოცემული პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და ჯილდოები;
- კომპანია არ იტოვებს არც მმართველობითი დონის ჩარევას, რომელიც ჩვეულებისამებრ დაკავშირებულია ფლობასთან და არც გაყიდული საქონლის ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობა შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს;
- შესაძლოა, რომ ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი მიმართული იქნება დაწესებულებისკენ; და
- ოპერაციასთან დაკავშირებით მიყენებული ხარჯები ან მომავალში წარმოშობილი ხარჯები შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს.

კომპანია აღიარებს შესრულების ვალდებულებას - დროის გარკვეულ მონაკვეთში სიგარეტის ფილტრების გაყიდვაზე, რადგან არსებობს მხოლოდ შესრულების ერთი ვალდებულება. მოგება მცირდება მომხმარებლის მიერ დაბრუნებულ საქონლის გამო, ფასდაკლებათა და სხვა მსგავსი შეღავათების გამო.

ლიზინგი. იჯარები კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარებად, როდესაც იჯარის პირობა გადასცემს იჯარის საგნის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ჯილდოს. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია, როგორც მეიჯარე
საოპერაციო იჯარებიდან ქირავნობის შემოსავალი აღიარდება სწორხაზოვნად, შესაბამისი იჯარის ვადისთვის. საწყისი პირდაპირი ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა საოპერაციო იჯარის მოლაპარაკებებში და ორგანიზებაში ემატება იჯარით აღებული აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება სწორხაზოვნად - შესაბამისი იჯარის პერიოდის წილ.

კომპანია, როგორც მოიჯარე
საოპერაციო იჯარის გადახდები აღიარდება ხარჯად, სწორხაზოვნად შესაბამისი იჯარის ვადისთვის, გარდა შემთხვევებისა, როდესაც სხვა სისტემური ხასიათის საფუძველი უფრო არ წარმოაჩვენს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც იჯარით აღებული აქტივებიდან მოხდა ეკონომიკური სარგებლის მოხმარება. საოპერაციო იჯარებიდან წარმოშობილი პირობითი ქირის გადასახადები აღიარდება ხარჯად პერიოდისთვის, როდესაც ისინი წარმოიშვა.

იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო შეღავათები მიღებულია საოპერაციო იჯარაში შესატანად, ამგვარი შეღავათები აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების ერთიანი სარგებელი აღიარდება სწორხაზოვნად ქირის ხარჯის შემცირებად, გარდა შემთხვევებისა, როდესაც სხვა სისტემური ხასიათის საფუძველი უფრო არ წარმოაჩვენს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც იჯარით აღებული აქტივებიდან მოხდა ეკონომიკური სარგებლის მოხმარება.

უცხოური ვალუტები. ოპერაციები ვალუტებში გარდა საწარმოს ფუნქციონალური (სამუშაო) ვალუტისა (უცხოური ვალუტები) აღირიცხება შესაბამისი ოპერაციების თარიღებისთვის გავრცელებული ვალუტათაშორისი გაცვლის განაკვეთებით. თითოეული საანგარიშო თარიღისთვის, მონეტარული საგნები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, ხელახლა კონვერტირდება განაკვეთებში, რომლებიც გაბატონებული იქნება შეტყობინების თარიღისთვის. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშვება ვალუტების კურსთაშორისი სხვაობით, მოცემულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა ერთიანი შემოსავლის უწყისში.

ქვემოთ მოცემულია ვალუტების გაცვლითი კურსები წლის ბოლოსთვის, რომელიც გამოიყენა კომპანიან აღნიშნული ფინანსური უწყისების მიზნებით:

	31/12/2018
GEL (ლარი) / USD (აშშ დოლარი)	2.6766
GEL (ლარი) / EUR (ევრო)	3.0701

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოდგენილია საანგარიშო თარიღისთვის ან მანამდე მიღებული საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. 2016 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება მიმდინარე კორპორაციული დაბეგვრის მოდელში, რომელიც ცვლილებებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლ იანვრიდან ყველა საწარმოსთვის გარდა გარკვეული ფინანსური დაწესებულებებისა. შეცვლილი მოდელი მოიაზრებს ნულგანაკვეთოვან კორპორაციულ გადასახადს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორაციულ გადასახადს განაწილებულ მოგებაზე, წინა მოდელში კი კომპანიის დაბეგვრამდე მიღებული მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად მისი განაწილების / გაუნაწილებლობის სტატუსისა.

მოგებისა გადასახადის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1-ლი იანვრიდან. აღნიშნული წესები ეხება კომპანიას და დასაბეგრი ბაზა შედგება ორივე - ფაქტობრივი და ნაგულისხმევი მოგების განაწილებით, რომელიც მოიცავს შემდეგსაც:

- განაწილებული მოგება;
- მიღებული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის / მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და / ან თანხების გადარიცხვა; და

- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსში განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე აღიარდება როგორც ხარჯი დივიდენდების გაცხადების მომენტში და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ჩაიწერება, „მოგების გადასახადის“ პუნქტში. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები და მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის ფასდება თანხით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოდან ან რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოზე.

განაწილებული მოგების გარდა სხვა სფეროში დაკისრებული გადასახადი, როგორც ზემოთ აღწერილია, ჩაიწერება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, „საგადასახადო ხარჯის“ პუნქტში.

დაბეგვრის კონცეფციის ცვლილების გამო, აქტივებისა და ვალდებულებების „დასაბეგრი ბაზა“, როგორც ტერმინი, კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები (როგორც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები 12-ის: მოგების გადასახადი - ფარგლებში), ახალი კორპორაციული დაბეგვრის მოდელით აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებით, მინუს დარიცხული ცვეთა და საჭიროების მიხედვით - გაუფასურების რეზერვი.
მცირედი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება ხარჯად წარმოშობისთანავე. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ჩანაცვლების ხარჯები კაპიტალიზდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

საანგარიშო პერიოდის ყოველი ბოლოსთვის, მმართველობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურებაზე რაიმე სახის მითითება. თუ ნებისმიერი ამგვარი მითითება არსებობს, მმართველობა აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის სამართლიან ღირებულებაზე მაღალი თანხით, მინუს გაყიდვის ხარჯები და გამოყენებული ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი უქმდება, თუკი შესაბამისობის მიხედვით, შეიცვალა აქტივის ღირებულების დადგენის შეფასების გამოყენებული მეთოდი ან სამართლიანი ღირებულებას მინუს გაყიდვის ხარჯები.

განკარგვისას მიღებული მოგება და ზარალი დგინდება საბალანსო ღირებულების შემოსავლებთან შედარებით და სხვა შემოსავალსა ან ხარჯს შორის აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება სწორხაზოვანი მეთოდით - მათი თვითღირებულების განაწილებით სალიკვიდაციო ღირებულებაზე სავარაუდოდ დარჩენილი საექსპლუატაციო ვადის ფარგლებში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავარაუდოდ დარჩენილი საექსპლუატაციო ვადა, სალიკვიდაციო ღირებულებები და ცვეთის მეთოდები ნებისმიერი საპროგნოზო შეფასებაში ცვლილების ჭრილში. ცვეთის განაკვეთები შემდეგია:

	ცვეთის განაკვეთი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%

აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება წარმოადგენს შეფასებულ თანხას, რომლის მიღებაც მიმდინარე ეტაპზე კომპანიას სურს ამ აქტივის განკარგვიდან მინუს განკარგვის ხარჯები, თუ აქტივი იყო ვადით ან მდგომარეობის მიხედვით თავისი საექსპლუატაციო ვადის ბოლოსკენ. თითეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებები და საექსპლუატაციო ვადები გადაიხედება და შესაბამისად დაკორექტირდება.

ძირითადი საშუალების საგანი ბალანსიდან იხსნება მისი რეალიზაციისას ან როდესაც ამ აქტივის განგრძობითად გამოყენებით, მომავალში არანაირი ეკონომიკური სარგებელი აღარაა მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების ნებისმიერი საგნის გაყიდვისას ან ჩამოწერისას მიღებული ნებისმიერი შემოსავალი

ან ზარალი დგინდება, როგორც სხვაობა გაყიდვის ოპერაციასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებად ან ზარალად.

ცალკეულად მიღებული არამატერიალური აქტივები. განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, რომლებიც მიღებულია ცალკეულად - გადაიტანება თვითღირებულებით მინუს დარიცხული ცვეთა და დარიცხული გაუფასურების ზარალი. ცვეთა აღიარდება სწორხაზოვნად - მათ შესაბამის საექსპლუატაციო ვადის ფარგლებში. თითეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავადაუდოდ დარჩენილი საექპლუატაციო ვადა და ცვეთის მეთოდი ნებისმიერი საპროგნოზო შეფასებაში ცვლილების ჭრილში. არამატერიალური აქტივების ცვეთის განაკვეთი 15%-ია, რომელიც ასევე მიესადაგება სწორხაზოვნად.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა და ბალანსიდან ჩამოწერა ხორციელდება მათი გაყიდვის ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც მათი გამოყენებით ან რეალიზაციით არანაირი მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარაა მოსალოდნელი. ნებისმიერი არამატერიალური აქტივის ბალანსიდან ჩამოწერისას მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება როგორც სხვაობა გაყიდვის პროცედურასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც შესაბამისი აქტივი ჩამოიწერება ბალანსიდან.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანია გადახედავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა დარწმუნდეს არსებობს თუ არა რაიმე სახის მინიშნება ამგვარი აქტივების გაუფასურების ზარალთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მითითება რაიმე სახით არსებობს, აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება, რათა დადგინდეს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოცულობა. როდესაც შეუძლებელია ცალკეული აქტივის ასანაზღაურებელი თანხა, მაშინ კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების გამომმუშავებელი აქტივის ანაზღაურებად თანხას, რომელსაც აღნიშნული აქტივი ეკუთვნის. როდესაც დგინდება მიკუთვნების გონივრული და თავსებადი საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე მიეკუთვნება ცალკეულ ფულადი სახსრების გამომმუშავებელ აქტივებს, ან ისინი სხვაგვარად მიეკუთვნება ფულადი სახსრების გამომმუშავებელ აქტივთა უმცირეს ჯგუფს, რომელთა მიმართაც შესაძლოა იდენტიფიცირდეს მათი გონივრული და თავსებადი კუთვნილება.

ანაზღაურებადი თანხა მეტია აქტივის სამართლიან ღირებულებაზე, მინუს გაყიდვისა და გამოყენებადი ფასეულობის ხარჯი. გამოყენებადი ფასეულობის შეფასებისას, სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათი მიმდინარე ღირებულებით გადასახადისწინა დისკონტის განაკვეთით, რომელიც აისახება მიმდინარე საბაზრო შეფასებებზე ფულის დროებითი ღირებულებით და რისკებით, რომლებიც სპეციფიურია აქტივისთვის, რომელთა მიმართაც ჯერ არ მომხდარა მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ჭრილში კორექტირება.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების გამომმუშავებელი აქტივის) ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება, რომ ნაკლებია ვიდრე მისი საბალანსო ღირებულება, მაშინ ასეთი აქტივის (ან ფულადი სახსრების გამომმუშავებელი აქტივის) სანალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად თანხამდე. აქტივის გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც შესაბამისად უქმდება გაუფასურების ზარალი, აქტივის (ან ფულადი სახსრების გამომმუშავებელი აქტივის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადახედილი შეფასებით, თუმცა იმგვარად, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგინდებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების გამომმუშავებელი აქტივის) მიმართ წინა წლებში არანაირი სახის გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო. გაუფასურების ზარალის გაუქმება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია დაბალი თვითღირებულებითა და წმინდა რეალიზებადი ღირებულებით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება დგინდება, როგორც მოსალოდნელი გასაყიდი ფასი, მინუს ყველა სავარაუდო დასრულების ხარჯები და გაყიდვის განსახორციელებლად საჭირო

ხარჯები. საქონლის მომწოდებლები კომპანიას აწვდიან ბონუსებს. მომწოდებელთა მიერ მიღებული ბონუსები დაგეგმილი გაყიდვების შესრულებისთვის უკავშირდება ხარისხობრივ ზომებს და პირდაპირ იქვითება გაყიდვების ხარჯებიდან.

რეზერვები. რეზერვები აღიარდება, როდესაც კომპანია მიმდინარე ეტაპზე ფლობს იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გამოწვეულია წარსულში განხორციელებული მოქმედებიდან; სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვება ვალდებულების დაფარვა და შესაძლოა ეს ვალდებულება საიმედოდ შეფასდეს.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხის საუკეთესო შეფასებას, რომელიც ითვალისწინებს ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებსა და გაურკვევლობებს. როდესაც რეზერვი აღიარდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო ფულადი ნაკადების გამოყენებით, მისი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას (როდესაც ფულის დროებითი ღირებულების გავლენა არსებითია).

როდესაც რეზერვის დასაფარად მოთხოვნილი ზოგი ან ყველა ეკონომიკური სარგებლის ამოღება მოსალოდნელია მესამე მხრიდან, მისაღები თანხა აღიარდება აქტივად თუკი არსებითად უეჭველია, რომ კომპენსაცია მიიღება და მისაღები თანხა საიმედოდ შეფასდება.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები. პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება საბალანსო უწყისში, თუმცა გასაჯაროვდება ფინანსურ ანგარიშგებებზე თანდართულ შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის განმასახიერებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა დისტანციურია. პირობითი აქტივები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (საბალანსო უწყისი) თუმცა წარმოდგენილი იქნება ფინანსურ უწყისებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღიარდება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (საბალანსო უწყისი), როდესაც კომპანია გახდება ინსტრუმენტის (საბუთის) სახელშეკრულებო დებულებათა მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები საწყის ეტაპზე შეფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით. ოპერაციის ხარჯები პირდაპირ ახასიათებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მიღებას ან გაცემას (გარდა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებისა თავიანთ სამართლიან ღირებულებაში მოგებაში ან ზარალში), შესაბამისობის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას ემატება ან აკლდება (იქვითება) ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. საოპერაციო ხარჯები პირდაპირ ახასიათებს ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების მიღებას მათ სამართლიან ღირებულებაში მოგებაში ან ზარალში და ისინი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებად ან ზარალად.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი მთიანობაში შესაბამისად აღიარდება ან მათ ამორტიზებულ ღირებულებით ან თავიანთი სამართლიანი ღირებულებით, რაც დამოკიდებულია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება თავიანთი თავდაპირველი (საწყისი) აღიარებისას, როგორც შესაბამისად ფასდება ამორტიზებულ ღირებულებით. ფინანსური აქტივების კლასიფიცირება თავიანთი საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ჭრილში კომპანიის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს აფასებს ამორტიზებული ღირებულებით თუ ქვემოთ მოცემული ორი პირობა კმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივი ფლობილია ისეთი ბიზნეს-მოდელი მიერ, რომლის მიზანია, ფინანსურ აქტივთა ფლობა, რათა შეაგროვოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში იწვევს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მარტოდენ ძირი თანხისა და პროცენტის ანგარიშსწორებას (SPPI) გადაუხდელ ძირ თანხაზე.

აღნიშნული შეფასება უკავშირდება ძირი თანხისა და პროცენტის ანგარიშსწორების (SPPI) შემოწმებას და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს, ფასდება შესაბამისად თავიანთი სამართლიანი ღირებულებით სხვა ერობლივ შემოსავალში (FVTOCI):

- ფინანსური აქტივი ფლობილია ბიზნეს-მოდელის მიერ, რომლის მიზანიც მიღწეულია ორივე პირობით: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობა კონკრეტულ ვადებში იწვევს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მარტოდენ ძირი თანხისა და პროცენტის ანგარიშსწორებას გადაუხდელ ძირ თანხაზე.

ჩვეულებრივ, ყველა სხვა ფინანსური აქტივი ფასდება შესაბამისად თავიანთი სამართლიანი ღირებულების ცვლილების ასახვით მოგებასა და ზარალში (FVTPL).

მიმდინარის მიუხედავად, კომპანია უფლებამოსილია ფინანსური აქტივების საწყისი (თავდაპირველი) აღიარებისას, განახორციელოს შემდეგი შეუქცევადი არჩევა / მითითება:

- კომპანია უფლებამოსილია, დაუბრუნებლად აირჩიოს და წარმოადგინოს მომდევნო ხარჯები კაპიტალდაბაბდების სამართლიან ღირებულებაში - სხვა ერთიან შემოსავალში თუ დაკმაყოფილდა კონკრეტული კრიტერიუმები; და
- კომპანია უფლებამოსილია, შეუქცევადად მიუთითოს სავალო ინვესტიცია, რომელიც აკმაყოფილებს ამორტიზებულ ღირებულებას ან სამართლიანი ღირებულებით სხვა ერობლივ შემოსავალში (FVTOCI) კრიტერიუმს, როგორც ფასდება სამართლიანი ღირებულების ცვლილების ასახვით მოგებასა და ზარალში (FVTPL) კრიტერიუმით, თუკი ამგვარი ქმედება ამცირებს ან მნიშვნელოვნად ამცირებს აღრიცხვის შეუსაბამობას.

წარსულის გამოცდილებაზე დაფუძნებით, ყველა ფინანსური აქტივი ფლობილია, რათა მოგროვდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და კლასიფიცირდება პირველ ბიზნეს-მოდელში - ფლობა შეგროვების მიზნით (Held to collect - H2C).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოსათვლელ მეთოდს და შესა ბამისი პერიოდის საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდს.

ფინანსური აქტივებისთვის გარდა შეძენილი ან შექმნილი კრედით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა (როგორიცაა აქტივები, რომლებიც საწყისი აღიარებისას კრედიტგაუფასურებულია), ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს რომელიც ზუსტად ახორციელებს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებას (მათ შორის ყველა გადასახადისა და გადახდილი ან მიღებული თანხებისა, რომლებიც ქმნიან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯებს და სხვა პრემიემსა და დისკონტებს) გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რასაც ადგილი ექნება სავალო ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ფარგლებში ან სადაც შესაბამისია, უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე - სავალო ინსტრუმენტის საწყისი აღიარების მთლიანი საბალანსო ღირებულების მიმართ. შეძენილი ან შექმნილი კრედიტგაუფასურებული ფინანსური აქტივებისათვის, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, მათ შრის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ჩათვლით - სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების ამორტიზებული ღირებულების მიმართ.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი თავისი საწყისი აღიარებით, მინუს ძირი თანხის დაფარვები, პლუს კუმულაციური ამორტიზაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მათი საწყისი ღირებულებისა და ვადადამგდარი ღირებულების ნებისმიერ სხვაობის მიმართ, რომელიც კორექტირდება ნებისმიერი დასაშვები ზარალის დაქვითვით.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება სავალო ინსტრუმენტების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა ერობლივ შემოსავალში (FVTOCI). ფინანსური აქტივებისთვის გარდა შეძენილი ან შექმნილი კრედიტგაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა შეძენილი ან შექმნილი კრედიტგაუფასურებული ფინანსური აქტივებისა (იხილეთ ქვემოთ). ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შემდგომში გახდნენ კრედიგაუფასურებულნი, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ შემდგომ საანგარიშო პერიოდებში კრედიტგაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი იმდენად გაიზრდება, რომ ფინანსური აქტივი უკვე აღარ იქნება კრედიტგაუფასურებული, მაშინ ამგვარი აქტივის საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შეძენილი ან შექმნილი კრედიტგაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე კრედიტზე მორგებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გამოთვლა არ უბრუნდება მთლიანი ღირებულებაზე დაფუძნებულ გამოთვლას მაშინაც კი, თუკი შემდგომში ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი იმდენად გაიზრდება, რომ ასეთი აქტივი უკვე აღარ იქნება მიჩნეული კრედიტგაუფასურებულად.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივს ფიქსირებული ან განსაზღვრადი ანგარიშგებით, რომლებიც აქტიურ ბაზარზე შეფასებული არ არის. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ფასდება ამორტიზებულ ღირებულებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, მინუს რაიმე სახის გაუფასურება. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, როდესაც დისკონტის ზეგავლენა არაარსებითია.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში ფლობილ მოთხოვნამდე დეპოზიტებს, მიმდინარე ეტაპზე გადასახდელებს ან სამ თვეზე ნაკლებ ვადაში გადასახდელებს. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ბალანსში გადაიტანება ამორტიზებული ღირებულებით, რა დროსაც გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი. შეზღუდული ნაშთები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების (ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) მიზნებით გამორიცხულია ფულადი სახსრებიდან და მათი ექვივალენტებიდან. შეზღუდული ფულადი სახსრები მოიცავს ნაშთებს, რომლებიც შეზღუდულია გადასაცვლელად ან ვალდებულების დასაფარად ყველაზე ცოტა საანგარიშო პერიოდიდან თორმეტი თვის შემდეგ.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია სავალო ინსტრუმენტებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) დაქვითვებს აღიარებს თავიანთ ამორტიზებულ ღირებულებაში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) აღიარდება ორ ეტაპად. კრედიტებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარებიდან, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოდგენილია საკრედიტო ზარალებისთვის, რომლებიც მომდევნო 12 თვის განმავლობაში გამომდინარე იქნება ვალდებულების შეუსრულებლობებიდან (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კრედიტებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკიც მნიშვნელოვნად გაიზარდა საწყისი აღიარებიდან, მოთხოვნილია საკრედიტო ზარალის დაქვითვა, რომლებიც მოსალოდნელია საკრედიტო გავლენის ნარჩენი საექსპლუატაციო პერიოდის მანძილზე მიუხედავად ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტობრივი დროისა (სიცოცხლის ხანგრძლივობის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კომპანია უზრუნველყოფს 12-თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფულადი სახსრებისა და საბანკო ბალანსებისთვის.

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გამოსათვლელად, კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, კომპანია არ ადევნებს თვალყურს საკრედიტო რისკის ცვლილებას, პირიქით - თითოეული საანგარიშო თარიღისთვის იგი აღიარებს ზარალის დაქვითვას სიცოცხლის ხანგრძლივობის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაფუძნებით. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოცულობას მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნებისთვის ითვლის ზარალის განაკვეთების მიხედვით, რომლებიც დადგენილია ექსპერტული მსჯელობის გამოყენებით. ექსპერტული მსჯელობის გამოყენება დაშვებული იქნა გონივრულად, ისტორიული ინფორმაციის არარსებობის გამო, რომელიც საშუალებას იძლეოდა, აგებულიყო რეზერვთა მატრიცა. გაუფასურების განაკვეთები მრავლდება მიწოდებიდან და

მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნების შესაბამის ნაშთებზე პერიდისთვის, რომლის მიმართაც გამოითვლება შესაბამისი თანხა, ეს უკანასკნელი კი მიჩნეულია აუნაზღაურებლად.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დარღვეულად, როდესაც სახელშეკრულებო ანგარიშსწორება 90 დღით დარღვეულია. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევებში, კომპანია უფლებამოსილია ასევე განიხილოს ფინანსური აქტივის ვალდებულების შეუსრულებლობა, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ კომპანიას არ სურს სრულად მიიღოს გადაუხდელი სახელშეკრულებო თანხები სანამ მხედველობაში მიიღებდეს კომპანიის მიერ ფლობილ ნებისმიერი სახის საკრედიტო გაძლიერების ინსტრუმენტს.

შეუკრებავი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის წილ, როდესაც ასეთი აქტივის ანაზღაურებისთვის ყველა საჭირო პროცედურა დასრულდება და ზარალის ოდენობა დადგინდება. წინარე ჯერზე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ანაზღაურებები დაკრედიტდება გაუფასურებული ზარალის ანგარიშის წილ წლის მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა და ბალანსიდან მოხსნა. კომპანია ფინანსური აქტივის ბალანსიდან მოხსნას ახორციელებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ აქტივიდან ფულადი ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები სრულდება, ან როდესაც იგი სხვა უწყებას გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ჯილდოს. თუკი კომპანია არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებით არსებითად ყველა რისკსა და ჯილდოს და განაგრძობს გადაცემული აქტივის კონტროლს, მაშინ კომპანია აღიარებს ამ აქტივში შენარჩუნებულ ინტერესს (პროცენტს) და დაკავშირებულ ვალდებულებას თანხებისთვის, რომელთა გადახდაც შესაძლოა მოუწიოს. თუკი კომპანია შეინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ჯილდოს, მაშინ კომპანია განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული შემოსავლების წილ გირაოთი უზრუნველყოფილ სესხს.

ამორტიზებულ ღირებულებაში შეფასებული ფინანსური აქტივის ბალანსიდან მოხსნისას, სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ და მისაღებ კომპენსაციის თანხებს შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. დამატებით უნდა ითქვას, რომ სავალო ინსტრუმენტში სამართლიანი ღირებულება სხვა ერთობლივ შემოსავალში (FVTOCI) ფარგლებში კლასიფიცირებული ინვესტიციის აღიარების შეწყვეტისას და ბალანსიდან მოხსნისას, ინვესტიციის ხელახალი შეფასების რეზერვში წინარე ჯერზე დარიცხული კუმულაციური შემოსავალი ან ხარჯი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

ვალად ან კაპიტალად კლასიფიცირება

ვალი და წილობრივი ინსტრუმენტები გაიცემა კომპანიის მიერ და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან კაპიტალი, რაც ხორციელდება სახელშეკრულებო შეთანხმებათა არსიდან გამომდინარე და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტების განმარტებების მიხედვით.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტები წამოადგენს ნებისმიერ საბუთს, რომელიც ამტკიცებს საწარმოს აქტივებში მონაწილეობის ინტერესს მას შემდეგ რაც დაიქვითება ყველა მისი ვალდებულებები. წილობრივი ინსტრუმენტები გაიცემა კომპანიის მიერ და აღიარდება მიღებული შემოსავლებით, წმინდა გაცემის თვითღირებულებით

კომპანიის მიერ ფლობილი საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ხელახლაქ შეძენა აღიარდება და პირდაპირ იქვითება კაპიტალში. არანაირი შემოსავალი ან ხარჯი არ აღიარდება მოგებად ან ზარალად კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შეძენაზე, გაყიდვაზე, გაცემაზე ან გაუქმებაზე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (რომლებიც წარმოდგენილია სესხებით, მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებებითა და გადასახდელი დივიდენდებით) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსურ ვალდებულებათა ბალანსიდან მოხსნა

კომპანია ბალანსიდან ხსნის ფინანსურ ვალდებულებებს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები შესრულდა, გაუქმდა ან მათი ვადა გავიდა. ბალანსიდან მოხსნილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილი და გადასახდელი კომპენსაციის სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება, როგორც კაპიტალის შემცირება პერიოდში, როდესაც ისინი გაცხადდა გადასახდელად. საანგარიშო თარიღის შემდგომ გაცხადებული დივიდენდები აღირიცხება, როგორც შემდგომი მოვლენა და ვლინდება შესაბამისად.

წინასწარ გადახდილი გადასახადები და გადასახდელი გადასახადები. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარმოდგენილია თავიანთ ნომინალურ ღირებულებებში, მინუს დაქვითვა სავარაუდო აუნაზღაურებელი თანხებისთვის. გადასახდელი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა) წარმოდგენილია თავიანთი ნომინალური ღირებულებით.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აკუმულირდება საქართველოს შემოსავლების სამსახურის ცალკეულ საგადასახადო ანგარიშზე. დარეგულირება ხორციელდება ურთიერთჩათვლით.

მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი თანხები. მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი თანხები წარმოდგენილია თავიანთი თვითღირებულებით, მინუს აუნაზღაურებელი თანხების დაქვითვა.

4. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (რომელიც აღწერილია მე-3 მითითებაში), მმართველობას მოეთხოვება მსჯელობა, ვარაუდი და დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც სხვა წყაროებიდან აშკარად გამოხატული არაა. ვარაუდები და დაკავშირებული დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიჩნეულია შესაბამისად. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ ვარაუდებისგან.

ვარაუდები და ძირითადი დაშვებები გადაიხედება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებათა გადახედვები აღიარდება პერიოდში, რომელშიც შეფასება გადაიხედა თუკი გადახედვა ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ან გადახედვის პერიოდში და შემდგომ პერიოდებში, თუკი გადახედვა ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებსაც.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, მიუხედავად იმ გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მონაწილეობს შეფასებებში (იხილეთ ქვემოთ) არის შემდეგი, რომ კომპანიის მმართველობამ განახორციელა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესი და მან იქონია უმნიშვნელოვანესი გავლენა ფინანსურ უწყისებში აღიარებული თანხების მიმართ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რათა ანგარიშსწორება აწარმოოს ზარალებზე, რომლებიც მიღებულია დამკვეთთა ვალდებულებით - გადაიხადონ მოთხოვნილი თანხა ან მომწოდებლებიდან - განახორციელონ შეთანხმებული პროდუქტების ან მომსახურების მიწოდება. როდესაც ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადექვატურობა, მმართველობა თავის შეფასებას აფუძნებს მიმდინარე მთლიან ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მოთხოვნებისა და წინასწარი გადახდების ნაშთების სიძველეზე (ვადამოსულობაზე), ისტორიული ჩამოწერის გამოცდილებაზე, დამკვეთისა და მომწოდებლის კრედიტსაიმედოობასა და ანგარიშსწორების პირობების ცვლილებებზე.ეკონომიკაში, წარმოების დარგში ან კონკრეტული დამკვეთის ან მომწოდებლის პირობებში ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კორექტირებები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში, რომელიც ჩაწერილია ფინანსურ უწყისებში.

5. შემოსავალი

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის და 22 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის მთლიანი შემოსავლის ასი პროცენტი შეადგენდა გაფილტრული და არა გაფილტრული სიგარეტის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს რაც უკავშირდებოდა შპს „გეოდისტრიბუცია“-ს ,რომელიც წარმოადგენს კომპანიის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოს.

6. გაყიდვების ხარჯები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ გაყიდული საქონლის ხარჯი მოიცავს სიგარეტების შესყიდვას ღსს თბილისი თობაქოსგან.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთები წარმოდგენილია სიგარეტით, რომელიც შეძენილია დაკავშირებული მხარისგან ღსს თბილისი თობაქო.

8. გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა

2018 წლის 31 დეკემბრისთვის, საშემოსავლო გადასახადის გარდა, გადასახადები შედგება დღგ-სგან, გადასახდელ და მისაღებ ანგარიშებზე.

9. მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ასი პროცენტი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კონტრაგენტის მიერ, შპს „გეოდისტრიბუცია“, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს კომპანიისთვის.

10. მოწოდებისა და სხვა საკრედიტო გადასახადები
2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მოწოდებიდან და სხვა საკრედიტო გადასახადების ასი პროცენტი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კონტრაგენტის მიერ, ღსს თბილისი თობაქო, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს კომპანიისთვის.

11. ფინანსური ინსტრუმენტები
სამართლიანი ღირებულებით შეფასებები ანალიზდება სამართლიანი ღირებულების იერარქიული დონით, შემდეგნაირად: i) პირველი დონეზე შეფასება ხორციელდება კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით აქტიურ ბაზრებზე, იდენტური აქტივების ან ვალდებულებების წილ; ii) მეორე დონეზე შეფასება ხორციელდება შეფასების ტექნიკითა და მეთოდით აქტივის ან ვალდებულების თანმდევი ყველა არსებითი ხარჯებით იქნება ეს პირდაპირი (როგორიცაა ფასი) ან ირიბი (როგორიცაა ფასიდან წარმოებული) და iii) მესამე დონეზე შეფასება ხორციელდება შეფასების მეთოდებით, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე მოძიებად, შესამჩნევ მონაცემებს (რაც წარმოადგენს შეუმჩნეველ ხარჯებს). მმართველობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციის გადაწყვეტილებას იღებს სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას იყენებს შესამჩნევ ხარჯებს, რომლებიც მოითხოვენ მნიშვნელოვან კორექტირებას - მაშინ ეს შეფასება წარმოადგენს მე-3 დონის შეფასებას. შეფასების ხარჯების მნიშვნელობა ფასდება მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასების მიმართ.
ამორტიზებულ ღირებულებით გადატანილი ფინანსური აქტივები.ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების შეფასების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებას, რომლებიც მიღებული უნდა იქნას მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის დისკონტით ახალი საკრედიტო ინსტრუმენტებისთვის მსგავსი საკრედიტო რისკითა და ნარჩენი შესრულების ვადით.გამოყენებული დისკონტის განაკვეთები დამოკიდებულია შემხვედრი (მეორე) მხარის საკრედიტო რისკზე. მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები უახლოვდებიან თავიანთ სამართლიან ღირებულებას მათივე მოკლევადიანი შესრულების ვადების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით გადატანილი ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების (შესრულების ფაქსირებული ვადით) შეფასების სამართლიანი ღირებულება ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადებით, რომლებიც დისკონტირდება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის მსგავი საკრედიტო რისკითა და ნარჩენი შესრულების ვადით. კომპანიის მმართველობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ უწყისებში წარმოდგენილი ფინანრუსი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს.
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების სამართლიანი ღირებულება დადგინდა შეფასების 1-ლ დონეზე, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დადგინდა შეფასების მე-3 დონეზე.

კაპიტალის რისკის მართვა–კომპანია მართავს თავის კაპიტალს, რათა დარწმუნდეს, რომ კომპანიას შეეძლება მომავალში უწყვეტად ფუნქციონირება, როდესაც შეეძლება კაპიტალის მფლობელებს მაქსიმალურად მისცეს შემოსავალი ვალისა და კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციის ფარგლებში. კომპანიის მმართველობა რეგულარულად განიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. აღნიშნული განხილვის შედეგებზე დაფუძნებით, კომპანია იღებს ზომებს, რათა დააბალანსოს თავისი მთლიანი კაპიტალის სტრუქტურა დივიდენდების გადახდით, ახალი აქციების გამოშვებით, ასევე ახალი სესხებისა და კრედიტების აღებით ან არსებული სესხებისა და კრედიტებისაგან გათავისუფლებით.

ფინანსურ ინსტრუმენტთა მთავარი კატეგორიები–კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებებისაგან. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ოპერაციებისთვის თანხების მოძიება. კომპანიას აქვს სხვადასხვა ფინანსური აქტივი, როგორიცაა მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან და ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	64
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,022
სულ ფინანსური აქტივები	**2,086**

	2018 წლის 31 დეკემბერი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	46,194
სულ ფინანსური ვალდებულებები	**46,194**

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომავალი მთავარი რისკია: კრედიტი და ლიკვიდობის რისკები.

გეოგრაფიული რისკი.კომპანიის აქტივები მდებარეობს საქართველოში და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულად დამოკიდებულია ქვეყნის სტაბილობაზე და სამართლის ნორმაზე. საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის კონკრეტული მახასიათებლების გამოვლენას.როგორც ასეთი, კომპანია ქვეყნის მასშტაბით ექვემდებარება ბიზნეს-გარემოს ან იურიდიული გარემოს ნებისმიერი სახით გაუარესებას.
საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ მეორე მხარე არ გადაიხდის სრულად თავის ვალდებულებას.

მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნებისა და მთლიანი ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებულ მაქსიმალურ თანხას, თუმცა გაცემული მოთხოვნებისა და სესხების აკრეფა შესაძლოა მოექცეს ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ; მმართველობას სჯერა, რომ კომპანიის მიმართ არ არსებობს მნიშვნელოვანი ზარალის რისკი გარდა დებულებებისა, რომლებიც უკვე ჩაწერილია.
ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც კომპანიას არ შეუძლია ყველა ვალდებულების გასტუმრება (დაფარვა) მათი შესაბამისი ვადების მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილები დეტალურად გვაწვდის ინფორმაციას კომპანიის არანაწარმოები ფინანსური ვალდებულებების მიმართ

სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების თარიღების შესახებ თავისი შეთანხმებული ანგარიშსწორების პერიოდებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები აიგო ფიუნანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია უადრესი თარიღით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება ანგარიშსწორება.

	1 თვეზე ნაკლები	1 - 3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი						
მოწოდებიდან და სხა მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	-	46,194	-	-	**46,194**
	-	**-**	**46,194**	**-**	**-**	**46,194**

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, კომპანიის საერთო მმართველობისა და კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებს და ძირითადი მმართველი პერსონალის წევრებს.

დაკავშირებული მხარეები უფლებამოსილნი არიან, განახორციელონ ოპერაციები, რომელთა განხორციელებაც არ შეუძლიათ არადაკავშირებულ მხარეებს; დაკავშირებულ მხარეებს ასევე შეუძლიათ განახორციელონ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეთა შორის, რომელსაც არ ექნება იგივე პირობები და გარემოებები, როგორც ოპერაციებს დაუკავშირებელ მხარეთა შორის, იმ პირობით რომ კომპანიის მიერ დაკავშირებულ მხარეთა მიმართ საქონლის გაყიდვები და შესყიდვები განხორციელდება ჩვეულებრივი სიით მოცემული ფასებით.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ მის იურიდიულ ფორმას. კომპანიას ჰქონდა შემდეგი ნაშთები თავის დაკავშირებულ მხარეებთან:

	2018 წლის 31 დეკემბერი			
	მფლობელი	საერთო კონტ.ქვეშ მყოფი საწარმოები	სხვა	სულ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	2,022	-	**2,022**
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	46,194	-	**46,194**
შემოსავლები	-	74,183	-	**74,183**
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	99,350	-	**99,350**

პერიოდის განმავლობაში ძირითადი მმართველობის ანაზღაურება იყო მოკლევადიანი შეღავათები, რაც 14 ათასი ლარის ექვივალენტია.

13. გაუთვალისწინებელი მდგომარეობები და ვალდებულებები

ვალდებულებები – 2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ ჰქონდა რაიმე სახის მნიშვნელოვანი, არსებითი გადაუხდელი ვალდებულება.

იურიდიული საქმისწარმოება. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია ჩართული არ ყოფილა რაიმე სახის მნიშვნელოვან, სადავო საქმისწარმოებაში. კომპანიის მმართველობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არანაირი არსებითი დაურიცხავი (წარმოუქმნელი) ზარალი არ მიადგება და შესაბამისადამ ფინანსურ უწყისთა მიმართაც არანაირი დებულება არ შემუშავდა.

გადასახადები–საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ შესაძლოა წარმოშვას სხვადასხვაგვარი განმარტება და შესწორება. დამატებით უნდა ითქვას, რომ გამომდინარე იქედან, რომ კომპანიის

მმართველობის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის განმარტება განსხვავდება საგადასახადო ორგანოთა მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციისგან, ოპერაციები შესაძლოა შედავებული იქნას საგადასახადო ორგანოთა მიერ და შედეგად, შესაძლოა კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და საპროცენტო გადასახდელები. კომპანიას სჯერა, რომ მან უკვე განახორციელა ყველა გადასახადის გადახდა და შესაბამისად არანაირი დაქვითავა აღარ განხორციელებულა ცალკეულ ფინანსურ უწყისში.

სამუშაო გარემო –საქართველოს მსგავსი განვითარებადი ბაზრები განვითარებულ ბაზრებთან შედარებით ექვემდებარება განსხვავებულ რისკებს; აღნიშნული რისკები მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში, ბიზნეს-საქმიანობაზე ზეგავლენის მქონე კანონები და დებულებები აგრძელებს საგადასახადო და მარეგულირებელ ჭრილში განვითარებას, რაც შესაძლოა სხვადასხვაგვარად იქნას განმარტებული. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება არის მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ; მასზე ასევე მოქმედებს იურიდიული, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემოს განვითარება.

წინა წლებში, საქართველომ განიცადა რიგი საკანონმდებლო ცვლილება, რომლებიც ფართოდ უკავშირდებოდა საქართველოს ევროკავშირში შესვლის გეგმას. როდესაც 2017-2018 წლებში საკანონმდებლო ცვლილებებმა მოამზადეს გზა, უფრო მეტია მოსალოდნელი საქართველოს ევროკავშირში შესაღწევი განვითარებადი სამოქმედო გეგმისგან.

აღნიშნულთან დამატებით უნდა ითქვას, რომ 2020 წლის დასაწყისში, მსოფლიო მასშტაბით სწრაფად გავრცელდა ახალი კორონავირუსის დაავადება (COVID-19), რის შედეგადაც 2020 წლის მარტში, მას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მიანიჭა პანდემიის სტატუსი. არაერთი ქვეყნის საპასუხო რეაქცია - შეაჩეროს COVID-19-ის გავრცელება, შედეგად იწვევს ბევრი კომპანიის მნიშვნელოვან საოპერაციო დარღვევებს და თავის მხრივ ხასიათდება გლობალური ფინანსური ბაზრის მნიშვნელოვნად უარყოფითი ზეგავლენით. გამომდინარე იქედან, რომ სიტუაცია სწრაფად ვითარდება, მან შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა გამოიწვიოს არაერთი კომპანიის ბიზნეს-საქმიანობაზე სხვადასხვა (ფართომასშტაბიან) სექტორებში, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი გავლენითა და ბიზნეს-ოპერაციების დანგრევით (დარღვევით), რომელიც განხორციელდა მათი პროდუქციის წარმოებაში ჩარევით ან საწარმოთა დახურვით, მოწოდების ჯაჭვის დარღვევით, პერსონალის კარანტინით, მოთხოვნის შემცირებითა და ფინანსური რესურსების მოძიების გართულებით. დამატებით უნდა ითქვას, რომ კომპანია შესაძლოა დადგეს COVID-19-ის ფართომასშტაბიანი, ზრდადი გავლენის ქვეშ, გლობალური ეკონომიკისა და ძირითადი ფინანსური ბაზრების მიმართ მისი უარყოფითი გავლენის გამო. COVID-19-ის გავლენის მნიშვნელობა კომპანიის ბიზნეს-საქმიანობაზე დიდად დამოკიდებულია მსოფლიოს ეკონომიკაზე და საქართველოს ეკონომიკაზე ვირუსის პანდემიური გავლენის ხანგრძლივობაზე და გავრცელების არეალზე.

14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ივნისსა და სექტემბერში შეიცვალა კომპანიის სააქციო კაპიტალის სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წილი კაპიტალში
შპს Smart Capital Production	45%
შპს Oxy Enterprise	50%
შპს Georgian Real Estate Development Group	5%
სულ	100%

შპს Oxy Enterprise and შპს Georgian Real Estate Development Group საბოლოო აქციონერები იყვნენ მიხეილ ჩხარტიშვილი და ირაკლი ძჩუბინი.

2019 წლის განმავლობაში დეკლარირებული და გადახდილ იქნა დივიდენდები 17 033 ლარი.

2019 წლის 27 სექტემბერს კომპანიამ მიიღო სს „ჰალიკ ბანკისგან“ სესხი 700 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, წლიური საპროცენტო განაკვეთი 8% და გასცა სესხი შპს Georgian Vine and Wine Company იგივე პირობებით.

2020 წლის 1 აპრილიდან კომპანია მხოლოდ ფილტრიანი სიგარეტის დისტრიბუციით არის დაკავებული.

15. ფინანსური უწყისების დამტკიცება

ფინანსური უწყისები დამტკიცდა მმართველი საბჭოს მიერ და გამოსაცემად დაშვებულ იქნა 2020 წლის 15 აპრილს.

საწარმოს ბიზნესის განვითარება, შესრულება და პოზიცია

შპს თობაქო ჰოლდინგი ("კომპანია") არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2018 წლის 22 იანვარს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სიგარეტის შეძენა და მათი გადაყიდვა.
კომპანიის მთავარი კლიენტია შპს გეო დისტრიბუცია, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს კომპანიისთვის.
კომპანიის გაყიდვების ასი პროცენტი დაკავშირებულია შპს გეო დისტრიბუციასთან.
2018 წელს კომპანიამ 74,183 ათასი ლარის შემოსავალი დააფიქსირა. მთლიანი მოგების ზღვარი 2018 წელს 84% -ს შეადგენდა.

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

2020 წლიდან კომპანია გეგმავს ბიზნეს მოდელის შეცვლას და სიგარეტის ექსპორტს დუბაიში მყოფ კომპანიაში, რომელიც მუშაობს მსოფლიოში და მისი ძირითადი გაყიდვების არხები წარმოადგენს უბაჟო მაღაზიებს აეროპორტებში. სტრატეგიის განხორციელება შეფერხდა COVID 19-თან დაკავშირებული შეზღუდვების გამო.

კომპანიამ 2020 წლის ივნისიდან შეასრულა COVID-19 დაკავშირებული რისკების გადაფასება და დაადგინა ბიზნესის უწყვეტობის გეგმა აღწერილი ფინანსური ანგარიშგების მე -3 შენიშვნაში.

კომპანია გეგმავს გაითვალისწინოს ყველა რეკომენდაცია და კანონის მოთხოვნები, რათა უზრუნველყოს მისი საქმიანობის დაშვება.

საწარმოს კრედიტის, ბაზრის, ლიკვიდურობის, ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების და მექანიზმების მიმოხილვა მათი მართვისთვის

კომპანიის მომხმარებლისა და მიმწოდებლის საშუალო საკრედიტო პერიოდი 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 30 დღისთვის, თითქმის ყველა გადახდა განხორციელდა მოთხოვნის საფუძველზე. ამჟამინდელი კოეფიციენტი იყო შესაბამისად 0,96 და 1, შესაბამისად, 2019 და 2018 წლებში.

ძირითადი რისკები და არასაიმედოობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკის მართვის კუთხით

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები უკავშირდება შემდეგს:

	რისკისა და გაურკვევლობის განმარტება	მმართველობის მიერ გატარებული საპასუხო ზომები
1	პოლიტიკური რისკები - არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს პროდუქციის მოთხოვნაზე, შემოსავლებზე და მომგებიანობაზე.	მმართველობა ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა გააკეთოს პოტენციური განვითარების პროგნოზი და მიიღოს საჭირო და ადექვატური ზომები.
2	Covid-19 რისკი - ბიზნეს-საქმიანობის მოშლა, პროდუქციის წარმოებაში ჩარევის გამო, საწარმოთა დახურვის გამო, მიწოდების ჯაჭვის დარღვევა, პერსონალის კარანტინში მოთავსება, შემცირებული მოთხოვნა და სირთულეები ფინანსების მოძიებაში (ფინანსირებაში).	მმართველობა იცავს ჯანმრთელობის ორგანიზაციის ყველა ზომასა და რეკომენდაციას , რათა უზრუნველყოს, რომ ბიზნეს-საქმიანობები აკმაყოფილებს Covid-19-თან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს და კომპანიამ განაგრძოს ფუნქციონირება.

თარგმნილია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე
თარჯიმანი ირმა ჯაფარიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200772410
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.09.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი ია ყიფიანი	ია ყიფიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	570506164
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	42948005198320

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

29.09.2020 წელს, მე ნოტარიუსს - ია ყიფიანს, სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. # 68-ში მომმართა: ქალბატონმა **ირმა ჯაფარიძემ** (დაბ. 18.03.1969 წელს, პირადი # 01011070620, რეგისტრირებული: საქართველო, ქ. თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი 6, ბინა 61), რომელმაც წარმოადგინა ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი დოკუმენტი და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე წამდვილად: ქალბატონმა **ირმა ჯაფარიძემ** (დაბ. 18.03.1969 წელს, პირადი # 01011070620) მომმართა.

აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შევამოწმე ის ფაქტი, რომ იგი ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას, თანახმად: "ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი"-ს მიერ 2015 წელს გაცემული ინგლისური ენის სერთიფიკატი.

თარჯიმანი ჩემს მიერ გაფრთხილებული იქნა იმ პასუხიმგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს არასწორ თარგმანს, მან განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა ტექსტზე, რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს.

29.09.2020, I Notary –Ia Kipiani, in Notary Bureau, located at: #68 I. Chavchavadzeave., Tbilisi was addressed by: Mrs. Irma Japharidze (born 18.03.1969, personal # 01011070620, registered: Georgia, Tbilisi, Vazisubani settlement, bldg. #6, apartment 61), who presented translated document from English into Georgian and requested notarization of her signature on this.

I checked her identity by presented identity document presented by her and I assured, that I really addressed by Mrs. Irma Japharidze (born 18.03.1969, personal # 01011070620).

In addition, I checked her capacity and I confirm, I don't have basis to make doubt in her capacity. I checked that fact, she knows English completely, according to Certificate of English Language issued by English Learning Centre on 2015.

The translator was warned about that responsibility, what may be followed to incorrect translation, she stated, that she knows English fluently and is responsible for the accuracy of the translation, after of which, she made signature personaly in my presence on text, which is attached to Notary Act.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე - 56.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2 (ორი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 10.08 ლარი, ჯამში: 68.08 ლარი.

Paid Notary fee under the 3rd paragraph of Articles 31 of the Resolution # 507 of Georgian Government ("On approving the fees for performing notarial acts and the amount of charge stipulated for the Notary Chamber of Georgia, the order of payment and terms of service" dated December 29, 2011)- 56.00 GEL, based on the article 39- 2 (two) GEL and VAT 10.08 GEL under Article 169 of Georgian Tax Code. Totally: 68.08 GEL.

ნოტარიუსი
Notary

ია ყიფიანი
Ia Kipiani

